

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

დავით ამაღლობელი

საქართველოს ბიზნეს გარემო

და უცხოური ინვესტიციები 2

გიორგი ბარბაქაძე

მსოფლიო ბანკის საინსტიტუციო

განვითარების პროექტის ათვისება 14

დავით ლომიძე

სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანები 31

საქართველოს გიზნეს გარემო და უსსოური ინვესტიციები

დავით ამაღლობელი

განვითარების თანამედროვე ეტაპზე იმ სიცარიელის ამოსავსებად, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში კაპიტალ-დაბანდების მხრივ შეინიშნება, მხოლოდ უცხოეთიდან მიღებული ინვესტიციების საშუალებით თუ შეიძლება. განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ხვალისდელი დღე. ამიტომაც მთელი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ისეთი საქმიანი გარემო, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს საინვესტიციო საქმიანობის გაჩაღებას და ფუნქციონირებადი ბიზნეს ერთეულების აქტიურ ამოქმედებას, ვინაიდან დღეს წარმატებით მომუშავე ბიზნესმენი, პოტენციური ინვესტორია.


იმისათვის რათა საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ ვიმსჯელოთ, საჭიროა იმ პირთა შეხედულებებს გავეცნოთ, რომლებმაც თავად უნევთ აღნიშნული ბიზნეს გარემოს ფარგლებში მოღვაწეობა. სწორედ ამ მიზნით სპეციალური სქემის მიხედვით გამოკითხული იქნენ საქართველოში მოქმედი მენარმეები და უცხოელი ინვესტორები. გამოკითხვამ მოიცვა როგორც მსხვილი, ასევე შედარებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა დარგებში მოღვაწეობენ. ჩვენი მიზანია აღნიშნული წყაროებიდან მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებას მივანვიდინოთ საქართველოში ბიზნეს გარემოს შეფასებანი და უცხოური ინვესტიციების კუთხით შექმნილი მდგომარეობის დახასიათება.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა კვლავაც რჩება საქართველოს საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთ სერიოზულ უპირატესობად

თავდაპირველად უმჯობესი იქნება შევაფასოთ საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური მდგომარეობა, რაც ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ქვეყანაში ბიზნეს გარემოს ფორმირების საქმეში. მოყოლებული 1995 წლიდან მშპ-ს მოცულობა ყოველწლიურად სტაბილური ტემპებით იზრდება. 1997 წელს ეკონომიკის ზრდამ 11% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ზრდა პირითადად მოდიოდა მომსახურების სექტორზე და სოფლის მეურნეობაზე. რაც შეეხება მრეწველობას, აქ წარმოებული პროდუქცია

შემცირდა. მრეწველობის ჩამორჩენა 1997 წელს შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმ პერიოდისათვის მსხვილ საწარმოთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო პრივატიზირებული ან რესტრუქტურირებული. თუმცა 1998 წელს მსხვილ საწარმოთა უდიდესი ნაწილი პრივატიზირებული იქნა, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის სერიოზული ზრდა არ შეიმჩნეოდა. ხოლო, 1998 წელს მრეწველობის სექტორში წარმოებული პროდუქციის კლებას ჰქონდა ადგილი. სამრეწველო საწარმოებს საქართველოში მნიშვნელოვანი რესტრუქტურისა და კაპიტალდაბანდებები სჭირდება.

ნახაზი №1




დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მომსახურების სექტორი ძალზედ სწრაფად იზრდებოდა და დღესდღეისობით იგი წარმოადგენს ლიდერს ეკონომიკური აღმასვლის საქმეში. ზრდის ორციფრიანი ტემპი ვაჭრობისა და სამშენებლო მომსახურებისათვის იყო დამახასიათებელი. შედარებით მოკრძალებული ტემპებით იზრდებოდა ტრანსპორტის სექტორი, რაც ძირითადად ადგილობრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასახარბიელო მდგომარეობით აიხსნება.

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში ინფლაციის დონემ ქვეყანაში თანდათანობით მკვეთრი შემცირება განიცადა. თუკი 1994 წელს საშუალო წლიური ინფლაციის ტემპი 15 606% იყო, 1997 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 7.3%-მდე ჩამოვიდა. 1998 წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით საშუალო თვიური ინფლაცია 0.45% იყო, ამასთან აღსანიშნავია, რომ მაისის თვიდან ივლისის ჩათვლით ქვეყანაში დეფლაციური მოვლენები შეიმჩნეოდა, კერძოდ მაისში დეფლაციის ტემპი - 1.7% იყო, ივნისში - 1.9%, ხოლო ივლისში - 2.4%. არაინფლაციური ეკონომიკა საქართველოსათვის სერიოზულ უპირატესობას წარმოადგენს

უცხოელი ინვესტორების თვალში, თუმცა ინფლაციის გარკვეული დონით არსებობა ქვეყნისათვის საჭიროა, ვინაიდან იგი წარმოადგენს სტიმულატორს ეროვნული წარმოების განვითარებისათვის. ამასთან დეფლაცია ხელს უწყობს საგადასახადო ბაზის შემცირებას, რაც უარყოფითად აისახება ბიუჯეტის შემოსავლებზე.

ნახაზი №2

საშუალო ეკონომიკური ინფლაციის დინამიკა (%)



ეროვნულ ვალუტა ლარს მისი შემოღებიდან ვიდრე 1998 წლის აგვისტომდე რაიმე სერიოზული გაუფასურება არ განუცდია და მტკიცე გაცვლითი კურსით ხასიათდებოდა. თუმცა სექტემბრის თვეში მომხდარმა მოვლენებმა გარკვეულწილად შეარყიეს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა და მას შემდეგ ეროვნულ ბანკს ყოველდღიურად რეზერვების სერიოზული ხარჯვა უხდებოდა, რათა კურსის სტაბილურობა შეენარჩუნებინა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ლარის რეალური ღირებულება დაახლოებით 10%-ით შემცირდა. ლარის კურსის გაუფასურება ძირითადად რბივტვირთი გარემოებებით იყო განპირობებული და მას შეუძლია გარკვეული დადებითი ეფექტი ჰქონდეს ეროვნულ ეკონომიკაზე. კერძოდ, იგი საშუალებას მისცემს ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტიორებს გაიუმჯობესონ ვაჭრობის პირობები უცხოურ ბაზრებზე, ხოლო ადგილობრივი მენარჩუნების ისარგებლებენ ლარებში გამოხატული უცხოური საქონლის ფასების მომატებით. ლარის კურსის შემდგომი დევალირება დაუშვებელია, ვინაიდან იგი დღეს არსებული ფისკალური კრიზისის ფონზე სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას. ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების კოორდინაცია მათი გატარებისათვის პასუხისმგებელი სამსახურების მხრიდან.


მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო წონასწორობის შენარჩუნებას. ამ მხრივ აღსანიშნავია იმპორტის ყოველწლიურად მზარდი მოცულობა, რაც შესაბამისად აისახება მიმდინარე ოპერაციათა დეფიციტში. დეფიციტის დასაფარავად სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება, კერძოდ ეს არის ტრანსფერები, მიღებული როგორც ოფიციალური ისე არაოფიციალური წყაროებიდან. ბოლო პერიოდში კაპიტალის შემოღინებამ ასევე გარკვეულწილად ხელი შეუწყო საგადასახადო ბალანსის გამოსწორებას. რის შედეგადაც 1995 წლიდან საგადასახადო ბალანსის დეფიციტი საგრძნობლად მცირდებოდა. ასე მაგალითად,

თუკი 1995 წელს საგადასახადო ბალანსის დეფიციტი - 303,6 მილიონი დოლარი იყო, 1997 წელს იგი - 102 მლნ. დოლარამდე შემცირდა. საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების ფონზე, სერიოზულ საფრთხეს საგარეო წონასწორობის დარღვევისათვის წარმოადგენს საგარეო ვალების მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხების გადინება. მომსახურებაზე გასანევი თანხების მოცულობა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტემპებით იზრდება და თუკი არ მოხდება სახელმწიფო შემოსავლების დამატებითი წყაროების გამოვლენა, საქართველოს ბიუჯეტს ვალების მომსახურება სერიოზულ ტვირთად დაანევა. ასე მაგალითად, 1999 წელს საქართველოს ვალის მომსახურების საბით გადასახადელი აქვს 169 მილიონი დოლარი.

1998 წლის ივნისის მდგომარეობით საქართველოში უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ შეადგინა 136 278 245 აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ რეგისტრაცია მოიცავს მხოლოდ იმ სანარმოებს, რომლებშიც უცხოური ინვესტიციები შეადგენს 100 000 დოლარს და უფრო მეტს. რეგისტრაცია ხორციელდებოდა ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროში არსებული უცხოური ინვესტიციების სააგენტოში. 1998 წლის ივნისში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად უცხოური ინვესტიციების სააგენტო გარდაიქმნა საქართველოს საინვესტიციო ცენტრად და მას შემდეგ ინვესტიციების რეგისტრაცია მათ მიერ აღარ ხორციელდება. რეგისტრაციის ფუნქცია გადაეცა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული რეგისტრირებული ინვესტიციების მოცულობა საკმაოდ ჩამორჩება რეალურ ციფრებს. ასე მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებული უცხოურ ინვესტორთა გამოკითხვის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ 1997 წლის მდგომარეობით საქართველოში განხორციელებულ იქნა 189,3 მილიონი ლარის უცხოური ინვესტიცია.

ნახაზი №3

ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში თბზ-ზე



დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია აქვს განხორციელებლი ისრაელს (დაახლოებით 18 მილიონი დოლარის). მეორე ადგილზეა ირლანდია, რომლის მხოლოდ ერთ პროექტში 12 მილიონი დოლარია ჩადებული. აღსანიშნავია რუსული ინვესტიციების ზრდის ტენდენცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში

(დაახლოებით 100%-იანი ზრდა). ინვესტორთა სიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თურქეთმა.

მრეწველობა. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა მენარმეები საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ტურიზმს,

(ცხრილი №1)

რეგისტრირებული უცხოური ინვესტიციები საზღვარგარეთის სახელმწიფოების მიხედვით

ქვეყანა	გაცემ. ლიცენ.	თანხა (აშშ დ)	ხვდ.წილი ხაერთო მოც (%)	ქვეყანა	გაცემ. ლიცენ.	თანხა (აშშ დ)	ხვდ.წილი ხაერთო მოც (%)
ისრაელი	6	18,079,511	13,27	ბულგარეთი	2	487,650	0,36
ირლანდია	7	17,617,530	12,93	ლიხტენშტეინი	1	462,159	0,5
რუსეთი	23	12,425,738	10,57	ბაჰამის კ-ბი	1	400,000	0,4
დიდი ბრიტანეთი	22	13,808,144	10,13	ვენესუელა	1	302,378	0,3
თურქეთი	12	11,968,420	8,78	მონაკო	1	270,000	0,3
აშშ	20	11,720,426	8,60	ლუქსემბურგი	1	202,394	0,15
საშხ. კორეა	2	9,120,500	6,69	პანამა	2	160,000	0,2
გერმანია	26	8,748,206	6,42	ბელგია	1	154,979	0,11
ნიდერლანდები	9	6,516,770	4,78	კანადა	1	150,000	0,11
ბერმუდის კ-ბი	2	4,120,190	3,02	ჩინეთი	1	122,000	0,09
საფრანგეთი	2	3,554,562	2,61	შალტა	1	120,000	0,09
ავსტრალია	2	2,288,928	2,12	ლიბანი	1	117,000	0,09
იტალია	6	2,243,136	1,65	სემპელის კ-ბი	1	114,724	0,08
შვეიცარია	9	2,127,745	1,56	ლიტვა	1	113,084	0,08
საბერძნეთი	4	2,108,222	1,55	ლატვია	1	108,500	0,08
კვიპროსი	3	1,643,429	1,21	პოლონეთი	1	100,000	0,07
ჰონგ-კონგი	1	788,500	0,59	სინგაპური	1	100,000	0,07
უნგრეთი	1	746,906	0,55	ლიბერია	1	51,000	0,04
ავსტრია	3	535,164	0,39	სულ	168	136,278,245	100,0

(ცხრილი №2)

უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით

დარგები	პროექტების რაოდენობა	თანხა (აშშ დოლარებში)	ხვედრითი წილი სართო მოცულობაში (%)
მრეწველობა	36	44,120,315	32,38
კავშირგაბმულობა	10	30,446,887	21,34
კვების მრეწველობა	47	19,163,950	14,06
საბანკო სფერო	14	17,161,706	12,59
სოფლის მეურნეობა	5	8,094,730	5,94
ვაჭრობის სფერო	31	6,388,019	4,69
მშენებლობა	8	4,604,940	3,38
ტრანსპორტი	4	2,532,059	1,86
მომსახურება	11	1,198,639	1,46
ტურისმი	1	1,670,000	1,23
მედიცინა	1	107,000	0,08

თუკი დარგობრივ ტრილში გადავხედავთ განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებს, პირველ ადგილზეა მრეწველობა, სადაც მთელი მოცულობის დაახლოებით 32% იქნა განხორციელებული. მეორე ადგილზეა კავშირგაბმულობა, ხოლო მესამეზე კვების

ტრასპორტს, კვების მრეწველობას და კომუნიკაციებს ასახელებენ. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება, ასევე საკმაოდ მცირეა კაპიტალდაბანდებანი ტრანსპორტში. ამიტომაც ეს პერსპექტიული დარგები სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებენ. რაც შეეხება კვების მრეწველობას ამ დარგის პრიორიტეტულობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ამ დარგში ყველაზე მეტი პროექტი იქნა განხორციელებული. ასევე სერიოზული ოდენობის ინვესტიციები იქნა განხორციელებული კავშირგაბმულობის სფეროში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოკითხვა შეეხო როგორც წვრილი, ასევე მსხვილი ზომის ფირმებს, რომლებიც მოღვაწეობენ მოპოვებით და გადამამუშავებელ დარგებში, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელთა მიერ ადგილობრივ წარმოებაში ჩართვის ყველაზე პოპულარულ ფორმას ერთობლივი საწარმო წარმოადგენს, თუმცა გვხვდება საწარმოო პროცესებში ჩართვის სხვა მეთოდებიც. ერთობლივ საწარმოს სხვა ფორმებისაგან

განსხვავებით ის უპირატესობა აქვს, რომ რისკის განაწილება ხდება თანაბრად უცხოელ ინვესტორსა და ადგილობრივ მენარმეს შორის. ამასთან ადგილობრივი პარტნიორის არსებობა უადვილებს უცხოელ ინვესტორს საქმიანობასა და ათავისუფლებს მას ბევრი ისეთი პრობლემისაგან, რომელიც ადგილობრივი თავისებურებებით არის განპირობებული. საქართველოში ინვესტიციების დიდი ნაწილი განხორციელებულ იქნა 1996 წელს, როდესაც ქვეყანაში გამოჩნდა ეკონომიკური გამოცოცხლების

და სტაბილური განვითარების პირველი ნიშნები. თუმცა ზოგიერთი ინვესტორის მიერ საკმაოდ სერიოზული კაპიტალდაბანდებანი იქნა განხორციელებული 1993-94 წლებშიც, როდესაც

საქართველო ღრმა კრიზისულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება მოპოვებითი მრეწველობის ფირმებს. გამოკითხული 13 მენარმის მიერ მთლიანად დღემდე განხორციელებულია 35 მლნ. დოლარამდე ინვესტიცია და დაგეგმილია დაახლოებით 150 მლნ. დოლარამდე დამატებითი კაპიტალდაბანდებების განხორციელება.

რა უბიძგებს უცხოელ ინვესტორებს

საბარეო წონასწორობის დარღვევი-სათვის ვალაზის მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხების გადინება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს

განახორციელონ კაპიტალდაბანდებანი საქართველოში? საქართველოს ბაზარი მოცულობით მცირეა, თუმცა მიუხედავად ამისა ნაწილი ფირმებისა სწორედ ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით შემოვიდნენ. აქედან ჩანს თუ რამდენად განიცდის საქართველოს ეკონომიკა ადგილობრივ კაპიტალდაბანდებებს, ვინაიდან ამა თუ იმ პროდუქციაზე მოცემულ ბაზარზე მოთხოვნის წარმოშობა პირველ რიგში ადგილობრივთა მხრიდან შეიმჩნევა, მაგრამ როგორც ჩანს საქართველოს მკვიდრთ არა აქვთ სათანადო სახსრები რათა საჭირო ოდენობის ინვესტიცია განახორციელონ. ამასთან ის უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორები, რომლებიც შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მუშაობენ ამჟამად, მომავალში წარმოების გაფართოებასთან ერთად აპირებენ გავიდნენ საგარეო ბაზრებზეც. მეორე ტიპის ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებების განხორციელების ძირითადი მოტივი იმაში მდგომარეობდა, რომ უტილიზირება მოეხდინათ საქართველოში არსებული რესურსებისათვის (რომელთა ადგილობრივთა მხრიდან ათვისება ვერ

ხერხდება) და შემდგომ მოემსახურათ საზღვარგარეთის ბაზრებს, მეტწილად ეს შეეხება დსთ-ს ქვეყნებს. აქსაინტერესოა აღინიშნოს ერთი მომენტი, რომ ტრადიციული (საბჭოთა პერიოდის) კავშირების მოშლის შედეგად, თანდათანობით ხდება აღნიშნულ დაკარგულ ბაზრებზე გასვლა. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი არსებობს და სწორედ ამის შემჩნევაა საჭირო ინვესტორთა მხრიდან.

უცხოელი მენარმეების მიერ საქართველოში


1998 წლის ივნისის მდგომარეობით საქართველოში უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ 136 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა ზოგიერთი მონაცემებით ეს ციფრი 200 მილიონს აჭარბებს

წარმოების დაარსების ერთ-ერთ მიზანს საკუთარი საქმიანობის გაფართოება წარმოადგენს. ამასთან საქართველოში წარმოება გარკვეულ უპირატესობას აძლევს უცხოელ ინვესტორებს საწარმოო დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით.

უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოში კაპიტალდაბანდებების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ძირითადად ოფიციალური წყაროებიდან ხდება. მსხვილ ინვესტორებს, როგორც წესი აქვთ მეგობრული კავშირები სამთავრობო სტრუქტურებში და სარგებლობენ მხარდაჭერით მათი მხრიდან. მეგობრული კავშირები მთავრობის წარმომადგენლებთან საშუალებას აძლევს უცხოელ ინვესტორებს თავი აარიდონ ბიუროკრატიულ ბარიერებს და გართულებებს ოფიციალის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ინვესტორთა გარკვეული ნაწილის მოძიება დაკავშირებულია პრეზიდენტის სახელთან, აგრეთვე ზოგიერთი ინვესტორის გადაწყვეტილებაზე განხორციელებინა კაპიტალდაბანდებანი საქართველოში ზემოქმედება მოახდინა საქართველოს პრეზიდენტის ავტორიტეტმა. რაც უფრო მაღალ ეშელონებში აქვთ უცხოელ ინვესტორებს კავშირები, მით უფრო მეტი თავდაჯერებულობა აქვთ მათ თავიანთ საქმიანობაში. პირადი კავშირების გარდა ზოგიერთი ინვესტორის მხრიდან საქართველოთი დაინტერესება მოხდა ოფიციალური გამოცემების გაცნობის შედეგად. თუმცა აღნიშნული მასალების მოპოვება ხდებოდა მას შემდეგ, რაც ინვესტორები შემოვიდოდნენ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ანუ ძველი, საბჭოთა პერიოდის დროინდელი მასალების გამოყენებით და არა დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველოს ოფიციალური თუ არაოფიციალური

გამოცემებით. ამ მხრივ მეტი პროპაგანდა არის საქირო საქართველოში უცხოელ ინვესტორთა მოსაზიდად, რადგან ერთერთ ყველაზე სერიოზული საშუალება უცხოელთათვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა, სწორედ სხვადასხვა პუბლიკაციების გავრცელებაა. შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბეჭდვითი მასალების გავრცელება, ასევე ელექტრონული საშუალებების (მათ შორის განსაკუთრებით ინტერნეტის) გამოყენება. ინფორმაციის ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს უცხოელი ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში.

საქართველო, ინვესტიციების
ნახაზი №4




განხორციელების მხრივ, მაღალრისკიან ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. თუმცა, როგორც გამოკითხვამ აჩვენა ინვესტორთა დიდი ნაწილისათვის რისკის ფაქტორი არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო. აქ საუბარია არაეკონომიკური ხასიათის რისკებზე. იგი უმნიშვნელო აღმოჩნდა მოპოვებით დარგებში ფუნქციონირებადი ფირმებისათვის. ზოგიერთ ინვესტორს კი დაზღვეული აქვს საკუთარი დაბანდებანი მაგალითად ისეთი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან როგორცაა OPIC, ამიტომაც მათთვის რისკი ნაკლებსაფიქრალ მომენტს წარმოადგენდა. რაც შეეხება ეკონომიკური ხასიათის რისკებს, ამ მხრივ რისკის დონე ნაკლებია, ვინაიდან საქართველოში არ არის მძიმე კონკურენცია და ინვესტორს არ უხდება ფიქრი გამუდმებულ სიახლეთა დანერგვაზე, საკმარისია ერთჯერადი ინვესტიციების განხორციელება, რომ საქმიანობა მომგებიანი აღმოჩნდეს. მთლიანობაში რისკის ფაქტორს როგორც უცხოელი ინვესტორები, ისე ადგილობრივი მენარმეები საშუალოდ აფასებენ.

საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო აქტიური მოქმედება, საქმიანი კონტაქტები საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებთან, რათა ისინი მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაზღვევის საქმეში და საბოლოო ჯამში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი რისკის დონე.

რა უპირატესობები აქვს საქართველოს უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით. უცხოურ ფირმებს ამ საკითხზე

სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ, მათგან გამოვყოფთ ზოგიერთ ფაქტორს. პირველი, ეს არის შედარებით სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. საქართველოში ბოლო პერიოდში მიღწეულმა წარმატებებმა მაკროეკონომიკურ დონეზე ხელი შეუწყო სტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ფასების სტაბილური დონე და ეროვნული ვალუტის კურსის მიზერული რხევები. ეს ის ორი ძირითადი ფაქტორია, რაც გავლენას ახდენს ბიზნესმენის (განსაკუთრებით კი უცხოელის) შემოსავლებზე. სტაბილურ პოლიტიკურ გარემოში მოიაზრება აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში არსებობს მტკიცე პოლიტიკური სისტემა, ხელისუფლება დემოკრატიული გზით განაწილებულია კლასიკური ნიმუშით და აგრეთვე, პარლამენტში არსებობს ძლიერი უმრავლესობა, რაც კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს უმნიშვნელოვანესი საკითხების სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტაში. ქვეყნის უპირატესობად მიიჩნევა ის ფაქტიც, რომ საქართველო შედარებით ღიაა საერთაშორისო საზოგადოებისათვის, აქ წარმოდგენილია მრავალი ქვეყნის საელჩო და საკონსულო, ფუნქციონირებს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია, ამიტომაც უცხოური კომპანიებისათვის არ წარმოადგენს დიდ სირთულეს შემოაღნიონ საქართველოში. უცხოელი ინვესტორები ქვეყნის ერთ-ერთ უპირატესობად განიხილავენ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოში შედარებით იოლია ინფორმაციის მოპოვება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ამიტომაც ისინი ყოველთვის საქმის კურსში არიან და შეუძლიათ ადექვატურად მოქმედონ. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც

ნახაზი №5



საქართველოს უპირატესობად შეიძლება ჩათვალოს, ეს არის სიახლოვე დსთ-ს ბაზრებთან ანუ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ლოკაცია, როგორც ასეთი არცერთი ინვესტორის მიერ არ ყოფილა მოხსენიებული. გეოგრაფიული მდებარეობა კი მხოლოდ დსთ-ს ბაზრებთან სიახლოვით არ შემოიფარგლება. საქართველოს მდებარეობა

ბიზნესმენებს სხვა მრავალ უპირატესობასაც სთავაზობს, კერძოდ, ქვეყანას გააჩნია გასასვლელი მსოფლიო ბაზარზე როგორც საზღვაო, ისე საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო, ასევე მილსადენი ტრანსპორტითაც. საქართველო წარმოადგენს უძველესი აბრეშუმის გზის ერთ-ერთ საკვანძო პუნქტს, რაც არ შეიძლება არ იყოს უპირატესობა უცხოელი ინვესტორებისათვის. მომავალში სავარაუდოა, რომ სწორედ აღნიშნული აბრეშუმის გზის პროექტის ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუმცირებს საქართველოში მოქმედ ბიზნესმენებს მათი პროდუქციის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. საქართველოს გააჩნია ბევრი ისეთი რესურსი, რომელიც აუთვისებელია და მათი ადგილობრივი ძალებით ექსპლუატაციაში ჩაყენება, სათანადო სახსრების არარსებობის გამო ვერ ხერხდება. ამიტომაც უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ მეტად სახარბიელო შესაძლებლობები რათა საქართველოში არსებული რესურსები მათ სამსახურში ჩააყენონ და შესაბამისი სარგებელიც მიიღონ. საქართველოს ერთ-ერთ უპირატესობად უცხოელების მიერ პრეზიდენტის ფაქტორი აღიქმება. საქართველოს პრეზიდენტის ავტორიტეტი აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, რაც ქვეყანას ნდობის ფაქტორს უმაღლებს და დამატებით იმპულსს ჰმატებს უცხოურ ინვესტიციებს.

კიდევ ერთ უპირატესობად უცხოელი ინვესტორების მიერ მიჩნეულია საქართველოში ნაკლებად კონკურენტული გარემოს არსებობა. ცალკეული დარგების შიგნით რამოდენიმე ფირმა მოქმედებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მთლიანად მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება არაეფექტიანი გზით, მომხმარებელთათვის მაღალი ფასების შეთავაზებით. ასეთი დარგების შიგნით უცხოელ ინვესტორთა გამოჩენა სასარგებლო ხდება როგორც უცხოელი ინვესტორისათვის, ასევე დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, ვინაიდან უცხოელი ინვესტორი ძირითად აქცენტს აკეთებს საქონლისა და/ან მომსახურების ხარისხობრივ მხარეზე და მომხმარებელი მისკენ მიილტვის. ბევრი დაგი კი საქართველოში არ არის წარმოდგენილი (იგულისხმება ის დარგები, რომელთათვისაც შესაბამისი რესურსული ბაზა არსებობს), ამიტომაც აქ რაიმე კონკურენტის არსებობაზე საუბარიც კი ზედმეტია. უცხოელი ინვესტორები საქართველოს ერთ-ერთ უპირატესობად დაბალ გადასახადებს მიიჩნევენ, განსაკუთრებით გამოყოფენ მოგების გადასახადს, რომლის განაკვეთიც 20%-ის დონეზეა. დაბოლოს, უცხოელი ინვესტორები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ჯარგად განვითარებული საკანონმდებლო ბაზა გააჩნია და არსებობს თითქმის ყველა ის კანონი, რომელიც ბიზნესმენს საქართველოში

ოპერირებისას ესაჭიროება. სისრულეშია მოყვანილი ყველა ის კანონი, რომელიც კერძო სექტორის განვითარებისათვის არის საჭირო. კერძოდ, 1997 წელს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საგადასახადო კოდექსი, რომელმაც თავი მოუყარა საგადასახადო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა რეგულირებას. სხვა ძირითადი კომერციული კანონებიდან აღსანიშნავია საბაჟო კოდექსი (მიღებული იქნა 1997 წლის ნოემბერში), კანონი საბაჟო ტარიფების შესახებ (1998 წლის მარტი), სამოქალაქო კოდექსი (1997 წლის ივნისი), კანონი მენარმეთა შესახებ (1994 წლის ოქტომბერი), კანონი კომერციული ბანკების შესახებ (1996 წლის თებერვალი), კანონი პრივატიზაციის შესახებ (1997 წლის მაისი), კანონი გაკოტრების შესახებ (1997 წლის ივნისი), კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენტის შესახებ (1996 წლის ივნისი), კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების, რეგისტრაციის და იჯარის შესახებ (1997 წ.), კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ (1998 წლის ოქტომბერი) და კანონი ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ (1998 წლის ოქტომბერი).

ესლა ვისაუბროთ საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნაკლოვან მხარეებზე და ბიზნეს გარემოს პრობლემების შესახებ.

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება (და თანაც ყოფილი კომუნისტური ქვეყანაა), ამიტომაც არ გააჩნია მტკიცე მმართველი სტრუქტურები, მიმდინარეობს სისტემური ტრანსფორმაცია და სტრუქტურული ცვლილებები. ყოველივე ეს მოითხოვს დამატებით რესურსებს და დროს, ამასთან გარკვეულ სირთულეებს უქმნის უცხოელ ინვესტორებს. უცხოელი ინვესტორები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში არ ხორციელდება ეკონომიკური მოვლენების სათანადო დონისა და მოცულობის ანალიზი, რათა მოხდეს არსებული ტენდენციების გამოვლენა და მათი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილებისათვის მიწოდება. 70 წლოვანმა კომუნისტურმა რეჟიმმა, რომელიც კრძალავდა ყოველგვარ კერძო ინიციატივას და საქმიანობას, საქართველოში უკიდურესად დაბალ დონეზეა ბიზნეს კულტურის დონე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს წარმოებას განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას.

ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში, რომელიც ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ეს არის კორუფცია. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევების მიხედვით, საქართველო მოწინავე ადგილზე იმყოფება კორუფციის დონის მიხედვით.

კორუფცია გვხვდება ყველგან, ყველა დონის სამთავრობო ინსტანციებში, რაც აიძულებს როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებს არაეფექტურად ფლანგონ საკუთარი რესურსები. კორუფციის არსებობისათვის ხელისშემწყობი გარემო სხვადასხვა ფაქტორებით განისაზღვრება. პირველ რიგში ეს არის უსაზღვროდ გაბერილი სამთავრობო შტატები, ჩინოვნიკთა მეტისმეტად დაბალი ანაზღაურება, საბჭიოთა პერიოდიდან გადმოყოლილი მენტალიტეტი, თავად კორუმპირებული სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები.

უზომოდ გაბერილი ბიუროკრატია, რომელიც ნოყიერ ნიადაგს უქმნის კორუფციის განვითარებას, მეორე უმნიშვნელოვანესი პრიობლემაა საქართველოში. ყოველ უცხოელ ინვესტორს, ისევე როგორც ადგილობრივ მენარმეებს თავიანთი საქმიანობისას ურთიერთობა უხდებათ ბიუროკრატიათან, რომელიც სერიოზულ ბარიერებს უქმნის ბიზნესმენებს და რომელთა გადალახვა ბევრს არ ძალუძს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მსხვილი ინვესტორების მიერ ადგილობრივ ბაზარზე შედარებით იოლად შემოღწევა, მათი მხრიდან სამთავრობო სტრუქტურებში მეგობრული კავშირების არსებობით აიხსნება, რაც მათ საშუალებას აძლევს უპრობლემოდ გადალახონ ბიუროკრატიათა ბარიერები. სამაგიეროდ შედარებით მცირე ინვესტორებს ან იმ ინვესტორებს, რომლებთაც არ გააჩნიათ რაიმე კავშირი მთავრობის წარმომადგენლებთან, უხდებათ ბიუროკრატიათა მიერ ხელოვნურად შექმნილი პრობლემების შექიდება. ყველაფერი ამის შედეგად, ადგილი აქვს არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისადმი ხელშეწყობას და შეფერხებას ეკონომიკური წინსვლის ტემპებს.

უცხოელ ინვესტორებს და ადგილობრივ

ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში, რომელიც ხელს უშლის უცხოური ინვესტიციების შემოღებას, ეს არის კორუფცია


ბიზნესმენებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის საქართველოში არსებული სასამართლო სისტემა. იყო შემთხვევები, როდესაც ინვესტორებს უხდებოდათ სხვადასხვა დონის ინსტანციებისათვის მიმართვა, მაგრამ მიუხედავად მათი სამართლიანი მოთხოვნებისა, ისინი არ იქნენ ადეკვატურად დაზარალებულნი. ხშირ შემთხვევებში ამგვარი აქტივების განხილვისას სასამართლო დარბაზებიდან სამთავრობო დონეზე გადადიოდა, რაც არ ხელშეწყობდა ჩათვალის როგორც წარმალური კორუფცია, ვინაიდან სიმართლის დადგენა უშუალოდ მოქმედებდა და არა მთავრობის დონეზე. ამგვარი შემთხვევების განხილვისას სასამართლო დარბაზებიდან სამთავრობო დონეზე გადადიოდა, რაც არ ხელშეწყობდა ჩათვალის როგორც წარმალური კორუფცია, ვინაიდან სიმართლის დადგენა უშუალოდ მოქმედებდა და არა მთავრობის დონეზე. ამგვარი შემთხვევების განხილვისას სასამართლო დარბაზებიდან სამთავრობო დონეზე გადადიოდა, რაც არ ხელშეწყობდა ჩათვალის როგორც წარმალური კორუფცია, ვინაიდან სიმართლის დადგენა უშუალოდ მოქმედებდა და არა მთავრობის დონეზე.

აგრეთვე მაღალი სატრანსპორტო ხარჯები. ასე მაგალითად, საკმაოდ ძვირია საქართველოს ავიანაზღვრით სარგებლობა, რაც ძირითადად ადგილობრივი კომპანიების სიმცირით და მათი ტექნიკური აღჭურვის დაბალი ხარისხით არის განპირობებული. საქართველოში ელექტროენერჯის შეფერხებებით მიწოდება აიძულებს აქ მოღვაწე ფირმებს გასწიონ დამატებითი ხარჯები ენერჯის წარმოებისა და მიწოდების ავტონომიური წარმოების შექმნაზე.

ეხლა გავეცნოთ, თუ რა სირთულეებს

ნახაზი №6

ბიზნეს გარემოს ბარიერების შეფასება



ანყდებიან საქართველოში მოქმედი ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები. გამოკვლევის დროს თითოეულ გამოკითხულს ეთხოვა პასუხი გაეცა თუ რა წარმოადგენდა მისთვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას საქართველოში. ამასთან გათვალისწინებული იყო კონკრეტული პრობლემები, ესენია: საერთო სამთავრობო რეგულირება, სალიცენზიო მოთხოვნები, საბაუო ბარიერები, საგადასახადო სისტემა, საკანონმდებლო სტრუქტურა. გამოკითხულთა უნდა შეეფასებინათ თითოეული პრობლემა მათთვის აქტუალურობის მიხედვით 1-დან 5-მდე შკალით (სადაც 1 - ძალზედ მკაცრს ნიშნავდა, ხოლო 5 - სრულად უმნიშვნელოს). (იხ. ნახაზი №6).

როგორც №6 ნახაზიდან ჩანს ყველაზე მძიმედ საქართველოში მოქმედ ბიზნესმენებს საგადასახადო სისტემა აწვება. აქ უნდა გაანალიზდეს ორი მომენტი, პირველი ოფიციალური საგადასახადო პოლიტიკა (განაკვეთების ჩათვლით) და მეორე, აღნიშნული პოლიტიკის აღმასრულებელთა ყოფაქცევა. ბიზნესმენტთა უმეტესობა აღიარებს, რომ ოფიციალურ დონეზე არსებული საგადასახადო პოლიტიკა, ის რაც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული მათთვის მისაღებია. მაგრამ ამავე დროს ისინი სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ უწყებების საქმიანობის მიმართ, რომელთაც ევალებათ ქალაქზე არსებულის რეალობაში გატარება. ინვესტორთა დიდი ნაწილი საგადასახადო განაკვეთებში სერიოზულ პრობლემას ვერ ამჩნევს და მიაჩნია, რომ საქართველოში ტარიფები საშუალო დონეზეა. განსაკუთრებით დაბალია მოგების გადასახადი, რომელიც 20%-ს უდრის. არცთუ ისე მაღალია დამატებული ღირებულების გადასახადი,

რომელიც ასევე 20%-ია, თუმცა ზოგიერთი მენარმე თვლის, რომ დღგ-ს ტარიფი უნდა შემცირდეს. ამასთან ის პრინციპები, რომლებიც დღგ-თი დაბეგვრისას გამოიყენება, სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს. უფრო ზუსტად კი საჭიროა დაბეგვრისადმი მიდგომა მოხდეს არა ცალსახად სახელმწიფოს მხრიდან, არამედ მათში გათვალისწინებული იყოს მენარმეთა ინტერესები. მაგალითისთვის, საგადასახადო კოდექსის თანახმად, მენარმის მიერ საკუთარი პროდუქციის გადატვირთვიდან 90 დღის ვადაში მის მიერ გადახდილი უნდა იქნეს დღგ. მაგრამ კოდექსი არ ითვალისწინებს რაიმე შეღავათს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პროდუქციის მიმღები არ ახდენს ანაზღაურებას გადატვირთული საქონლისათვის ან თუ ახდენს - დაგვიანებით. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტს აქვს მენარმისადმი დავალიანება, გადასახადის გადამხდელს უნდა ქონდეს ჩათვლების მექანიზმის გამოყენების უფლება ან შესაბამისი კომპენსაციის მიღება.

ყველა მენარმეზე მძიმედ მოქმედებს

საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენტათვის ყველაზე დიდი პრობლემა საგადასახადო სისტემაა

სოციალური გადასახადი, რომელიც საქართველოში საკმაოდ მაღალია და 32%-ს უდრის.

მენარმეები ერთსულოვანი არიან იმ საკითხში, რომ ყველაზე მეტ პრობლემებს ისინი საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას აწყდებიან. საგადასახადო ორგანოებში გამეფებულია სრული განუკითხაობა და მძვინვარებს კორუფცია. კორუმპირებულობა დამახასიათებელია დანაწილებული რიგითი თანამშრომლიდან დამთავრებული უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებით. დღევანდელ საქართველოში საგადასახადო ორგანოებში მუშაობა გაიგივებულია კორუმპირებულობასთან. ეს არის საერთო სინდრომი, ამიტომაც მენარმე, რომელიც ურთიერთობს აღნიშნულ უწყებებთან, უნდობლობით ეკიდება მათ. ფაქტიურად, მენარმესა და საგადასახადო ინსპექტორს შორის ჩამოყალიბდა არაკოლეგიალური ურთიერთობა, რაც შესაბამისად ნეგატიურად აისახება შემოსავლების ამოღებაზე. კანონმდებლობის თანახმად საგადასახადო ინსპექტორს უფლება აქვს შეამოწმოს ამა თუ იმ მენარმის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისადმი საკუთარი ვალდებულებების შესრულების საკითხი წელიწადში ერთხელ. რეალურად საგადასახადო ინსპექცია მენარმეებს აკითხავს წელიწადში რამოდენიმეჯერ (მეტწილად 3-4-ჯერ). საგადასახადო ინსპექციის გარდა მენარმეთა

შემომნებებს ახორციელებენ სხვა უწყებებიც, ძირითადად კონტროლის პალატა და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამასთან ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოახდინოს მენარმის შემომნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ფლობენ რაიმე ოპერატიულ ინფორმაციას აღნიშნულ საწარმოში კანონდარღვევათა შესახებ. მიუხედავად ამისა, მენარმეები ხშირად ხდებიან მოწმე შემოთდასახელებული ორგანოებიდან გამუდმებული შემომნებებისა. მსგავსი სახის შემომნებები დემორალიზირებად ზეგავლენას ახდენენ საწარმოთა ხელმძღვანელობაზე და რიგით მუშაკებზეც კი. შემომნებელი არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი „პროფესიონალური მოვალეობის“ მოხდით და აქტიურად ერევასაწარმოს მართვის საკითხებში. იგი სთავაზობს საქმიან წინადადებებს საწარმოს ხელმძღვანელს, აძლევს რჩევა-დარიგებებს საწარმოო ტექნოლოგიების თაობაზე და იძლევა შესაბამის მითითებებს. ამგვარი ქმედებებით, ინსპექტორი ახდენს მავნე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ფირმის ხელმძღვანელობაზე და ძაბავს


ატიმოსფეროს საწარმოს შიგნით. ხშირი შემომნებების შედეგად, ფაქტობრივად საწარმოები ცდებიან თავიანთი საქმიანობიდან და ყურადღების გადატანა უწევთ სხვა, მათთვის თავს მოხვეულ საკითხებზე.

მენარმე, რომელიც საკუთარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილს ბიუჯეტის სასარგებლოდ რიცხავს, უკეთეს მოპყრობას იმსხურებს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო მუშაკები ყველაზე მეტ პრობლემებს შედარებით მცირე და საშუალო ფირმებს უქმნიან. რაც შეეხება ე.წ. მსხვილ გადახდებებს, ისინი ნაკლებად განიცდიან ნეგატიურ ზემოქმედებას საგადასახადო სამსახურების მხრიდან.

საგადასახადო სამსახურის აპრობირებულ სამოქმედო მეთოდს წარმოადგენს მენარმეთა გამოჭერა განუზრახველ დარღვევებზე. განუზრახველს, რადგან მათი მსხვერპლის უდანაშაულობაში თავადაც დარწმუნებული არიან. როგორც წესი, საგადასახადო ინსპექცია მის მიერ გამოშვებულ ინსტრუქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მაშინ აწვდის მენარმეს, როდესაც მას შემომნებაზე ეახლება. ეს კი მას რეალურ შესაძლებლობას აძლევს დააჯარიმოს მენარმე ან გარიგებაში შევიდეს მასთან. ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია კარდინალური ცვლილებები განხორციელდეს საგადასახადო ორგანოების საქმიანობაში. პროგრესი ამ სტრუქტურებში ფაქტობრივად არ შეიმჩნევა. საქართველო კვლავაც რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყნად საგადასახადო შემოსავლების მობილიზების თვალსაზრისით

(მთლიან შიდა პროდუქტში საგადასახადო შემოსავლების წილი 1997 წელს 10.4% იყო, 1998 წელს კი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, იხილეთ ნახაზი №7).

ნახაზი №7



საგადასახადო სამსახურების სტრუქტურული და ძირეული საკადრო ცვლილებები, ამ მხრივ მხოლოდ ხელმძღვანელობის შეცვლა რაიმე სასიკეთო ძვრის მომტანი ვერ იქნება. მაგალითისათვის გამოდგება პერუსი განხორციელებული საგადასახადო რეფორმა 90-იანი წლების დასაწყისში. პერუს ხელისუფლებამ გაანთავისუფლა უკლებლივ ყველა საგადასახადო ინსპექტორი და გამოაცხადა კონკურსი ახალი საგადასახადო სამსახურის დასაკომპლექტებლად, სადაც ადგილების რაოდენობა მანამდე არსებულის 1/4 იყო. კონკურსი ძირითადად დაფუძნებული იყო გამოცდებზე. კონკურსში გამარჯვებულ პირებს დაენიშნა 5-ჯერ მეტი ანაზღაურება, ვიდრე ეს მათ წინამორბედებს გააჩნდათ. გამკაცრებულ იქნა ინსპექტორების პასუხისმგებლობის მოთხოვნები. ასე მაგალითად, იმ საგადასახადო ინსპექტორს, რომელიც მხილებულ იქნებოდა კანონდარღვევებში ემუქრებოდა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მთავრობის მხრიდან ჩატარებულ იქნა ფართო სააგიტაციო კომპანია, რათა საზოგადოების თვალში აემალლებინა ახალი კადრებით დაკომპლექტებული საგადასახადო ინსპექციის ავტორიტეტი. ყოველივე ზემოთხსენებულმა შესაბამისი შედეგები გამოიღო და რეფორმის განხორციელებიდან უკვე ოთხ წელიწადში საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში 8%-დან 24%-მდე გაიზარდა.

მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც ბიზნესმენები აწყდებიან საქართველოში ოპერირებისას, ეს არის საერთო სამთავრობო რეგულირება. მთავრობა არ გამოდის პარტნიორის როლში მენარმებთან ერთად და ხშირ შემთხვევებში ბევრ სირთულეებსაც უქმნის. ინფორმაციის მოპოვება მთავრობიდან

გაძნელებულია. ინფორმაცია მოდის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დაგვიანებით. ასე მაგალითად, როდესაც ხელისუფლებას განსაზღვრული აქვს რაიმე ცვლილების შეტანა მოქმედ კანონმდებლობას ან რეგულირებაში, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად შეეხოს (ან თუნდაც საზიანო აღმოჩნდეს) მენარმეთა გარკვეული ჯგუფისათვის, ამის შესახებ ინფორმაცია მეტწილად მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც აღნიშნული ცვლილება უკვე განხორციელდება. სამთავრობო რეგულირების არაეფექტურობის დასადასტურებლად კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება უახლოესი წარსულიდან. ნოემბრის თვეში საქართველოში ორჯერ განხორციელდა საათის ისრის გადაწევა, ჯერ ერთი, ხოლო შემდგომ საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ ფაქტმა დამატებითი სირთულეები გაუჩინა ავიაკომპანიებს, რომელთა მიერ ავიახაზების დანიშვნა წინასწარ სამი თვით ადრე ხორციელდება. ამიტომაც აუცილებელია, რომ ოფიციალური მთავრობა მეტი სიფრთხილით ეკიდებოდეს გადაწყვეტილების გამოტანას და საჭიროა უზრუნველყოს მეტი საჯაროობა საკუთარი საქმიანობისა.

მესამე სერიოზული პრობლემა, რომელსაც ბიზნესმენები საქართველოში საქმიანობისას

მთავრობა არ გამოდის პარტნიორის როლში მენარმებთან ერთად და ხშირ შემთხვევაში ბიზნესსირთულეებსაც უქმნის

აწყდებიან, ეს არის საბაჟო სამსახურის საქმიანობა. საბაჟო სამსახურიც მსგავს რეორგანიზაციას საჭიროებს, რასაც საგადასახადო, რათა გარკვეულწილად შეიზღუდოს აღნიშნულ სფეროში არსებული კორუფცია. ის ფაქტი, რომ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის საბაჟო სამსახურის საქმიანობა მესამე ადგილზე აღმოჩნდა იმით შეიძლება აიხსნას, რომ გამოკითხული ფირმების გარკვეული ნაწილი არ აწარმოებს რაიმე სახის საგარეო კავშირებს, ამიტომაც არ გააჩნია ურთიერთობა საბაჟო სამსახურთან. რაც შეეხება ოფიციალურ პოლიტიკას, რომელიც საბაჟო ტარიფებისადმი და ვაჭრობის რეგულირებისადმი ხორციელდება, იგი ბიზნესმენებისათვის გარკვეულწილად მისაღებია. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ფირმებს, რომლებიც საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებას ახდენენ. ამასთან არსებობს გარკვეული განსხვავებული მოსაზრებანიც, კერძოდ უმჯობესი იქნება თუკი მოხდება ნედლეულის იმპორტის მინიმალურად დაბეგვრა, ისე რომ მოცული იყოს ნედლეულის ფართო სპექტრი. ასევე უმჯობესი იქნებოდა თუკი მოხდებოდა ადგილობრივ დამწყებ მენარმეთა პროტექციონისტული ღონისძიებებით დაცვა.

ბიზნესმენები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია მეოთხე პრობლემას მათთვის საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვანება წარმოადგენს. მთლიანობაში აღიარებულია, რომ საქართველოში მოქმედებს ყველა ის ძირითადი კანონი, რომლის ფარგლებშიც ბიზნესს უნევს არსებობა. თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგალითად, სანავთობე ბიზნესით დაკავებული ფირმები თვლიან, რომ მათ ყველაზე მეტ უხერხულობას (რაც ამავე დროს ხელს უშლის მათი მხრიდან საინვესტიციო საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლას) ნავთობისა და გაზის შესახებ კანონის არარსებობა უქმნის. საქართველოში მოქმედი კანონები თითქმის მთლიანად პასუხობენ საერთაშორისო მოთხოვნებს. თითქმის ყველა ფირმისათვის ხელმისაწვდომია კანონები. ამ საქმეში მათ დახმარებას საკუთარი იურისტები ან მოქმედი იურიდიული ფირმები უწევენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კანონი ბუნდოვანია ან ძალზედ ზოგადი, რაც ხშირად სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა. უმჯობესი იქნება მეტი სიცხადის მიზნით კანონები უფრო დეტალიზირებული იყოს.

მეზარეულები ერთსულოვანნი არიან იმ საკითხში, რომ ყველაზე მეტ პრობლემას ისინი საბადასახადო ორბანოებთან ურთიერთობისას აწყდებიან

ლიცენზიების საკითხი აქტუალურ საკითხთა შორის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა ამას თავისი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ. კერძოდ, მსხვილი ფირმებისათვის, მსხვილი კაპიტალით ლიცენზიების მოპოვება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება სხვა, შედარებით მცირე ზომის ფირმებს, ისინი რამოდენიმე წლის უკან იქნენ შემნილი და ამიტომაც დღესდღეობით მათთვის ლიცენზირების საკითხმა შედარებით უკანა პლანზე გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, ცალკეული მენარმე-

ბისათვის ლიცენზირებასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ პრობლემატური და მტკიცენიულია. განსაკუთრებით ბევრ გაუგებრობას აწყდებიან უცხოელი ინვესტორები, რომელთაც ჯერ კიდევ საკუთარი საქმიანობის წამოწყებამდე უხდებოდათ სირბილი ერთი ინსტანციიდან მეორე ინსტანციაში სხვადასხვაგვარი ლიცენზიების მოსაპოვებლად და აწყდებიან საბჭოთა პერიოდიდან გადმოშენილ ბიუროკრატიულ და კორუფციულ ელემენტებს. ეს მომენტი კი მათ უკარგავს ენთუზიაზმს უკვე საწყის სტადიაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს ლიცენზირების პრაქტიკა. საჭიროა შემცირდეს ლიცენზიების

რაოდენობა და შეიზღუდოს იმ ორგანოთა რიცხვი, რომელთაც ევალებათ ლიცენზიების გაცემა. აღნიშნული მომენტების გათვალისწინება საკმაოდ რეალურია უკვე დღეს, ვინაიდან კანონპროექტი ლიცენზირების შესახებ უკვე იხილება საქართველოს პარლამენტში.

როგორც გამოკვლევამ დაადასტურა უცხოური ინვესტიციებით შექმნილ სასწარმოებში 99% ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული. საქართველოში სათანადო მუშახელის შერჩევა საწარმოს დაკომპლექტებისას საკმაოდ პრობლემატურია. ქართველი მუშა-მოსამსახურეები არ გამოირჩევიან მაღალი შრომის ნაყოფიერებით, რაც ძირითადად რამოდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, მიუხედავად იმ ფართოდ აღიარებული მომენტისა, რომ საქართველოში განათლების დონე, რაც უმაღლეს სასწავლებელთა დამთავრებულების რაოდენობით გამოიხატება, საკმაოდ მაღალია. განათლების დონე მოიკოჭლებს ხელმძღვანელ მუშაკებს შიგნით, რომელთაც თავიანთი საბჭოთა მენტალიტეტისა და განათლების გამო ძალზედ უჭირთ ახალი პირობებისადმი ადაპტირება. შესაბამისად ეს თავის ასახვას ჰპოვებს მენეჯმენტის დონეზე საწარმოების შიგნით.

დღევანდელი, საქართველოში მოქმედი ფირმებისათვის უცნობია მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე პრაქტიკა. ქართველი მუშა-ხელისათვის ასევე დამახასიათებელია შრომითი დისციპლინის დაბალი დონე, ასევე ნაკლები მოტივაცია, რაც მენეჯმენტის დაუხვეწავობით არის გამოწვეული. მაღალია მოცდენები სამუშაო საათების დროს, რაც გამოწვეულია ხშირი დღესასწაულებით და მათი აღნიშვნის ღონისძიებებით.

გამოკითხულ ფირმებს მიეცათ წინადადება შეეფასებინათ მათ მიერ დღემდე განეული საქმიანობის წარმატებულობის ხარისხი, სკალით 1-დან 5-მდე (სადაც 1 ნიშნავს ძალზედ წარმატებულს, ხოლო 5 სრულად წარუმატებელს). საშუალო შეფასება გამოკითხულთათვის აღმოჩნდა 2.3, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს პირობებშიც შესაძლებელია ბიზნესის წარმატებულად წარმართვა, თუკი ამის სურვილი და შესაძლებლობები იქნება. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თითოეული ბიზნესმენი მის მიერ განეული საქმიანობის


როგორც გამოკვლევა დაადასტურა უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებში 99% ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული

გამოკითხულ ფირმებს მიეცათ წინადადება შეეფასებინათ მათ მიერ დღემდე განეული საქმიანობის წარმატებულობის ხარისხი, სკალით 1-დან 5-მდე (სადაც 1 ნიშნავს ძალზედ წარმატებულს, ხოლო 5 სრულად წარუმატებელს). საშუალო შეფასება გამოკითხულთათვის აღმოჩნდა 2.3, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს პირობებშიც შესაძლებელია ბიზნესის წარმატებულად წარმართვა, თუკი ამის სურვილი და შესაძლებლობები იქნება. ამასთან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თითოეული ბიზნესმენი მის მიერ განეული საქმიანობის

შეფასებას მაქსიმალურად მოკრძალებულად აფასებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ბიზნეს გარემო საკმაოდ ხელსაყრელია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით მოქმედი ფირმების უდიდესი ნაწილი საკუთარი საქმიანობის გაფართოებას მისდევს, ხოლო რაც შეეხება გამოკითხულთ, მათი 100% მიღებული შემოსავლების რეინვესტირებას მიმართავენ. გამოკითხული ფირმების დაახლოებით 60% საერთოდ არავითარ დახმარებას ან თუნდაც მხარდაჭერას არ ღებულობს მთავრობის მხრიდან. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მთავრობასა და ბიზნესს შორის არსებობს არაპარტნიორული ურთიერთობა, რაც ეკონომიკის წინსვლას სრულადაც არ უწყობს ხელს.

ნახაზი №8

პერსპექტიული დარგების შეფასება საქართველოში



გამოკითხულთაგან აბსოლუტურად არცერთს არ ჰქონია რაიმე გართულება კრიმინალთან დაკავშირებით. 1993-1994 წლებში სიტუაცია მართლაცდა საგანგაშო იყო, მაგრამ დღეს ეს პრობლემა ფაქტობრივად არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ინვესტორები გარკვეულ შიშს გამოთქვამენ, რომ მათი ინფორმაციით უახლოეს მომავალში გახშირდება ადამიანთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, რაც მათ აიძულებს სიფრთხილის დამატებით ზომებს მიმართონ.

გამოკითხულ ფირმებს ეთხოვათ დაესახელებინათ თუ რომელი დარგები მიაჩნიათ მათ პერსპექტიულ დარგებად საქართველოში, რომელთა განვითარება მომგებიანი იქნება როგორც ქვეყნისათვის, ისე ამ სფეროში დასაქმებული ფირმებისათვის. როგორც აღმოჩნდა ყველაზე პერსპექტიულ დარგებად საქართველოში ტურიზმი და ტრანსპორტი აღმოჩნდა, რომელთაგან თითოეულმა გამოკითხულმა 66% მიიღო. (იხ. ნახ №8). როგორც

ნახაზიდან ჩანს, მესამე პერსპექტიულ დარგად მიჩნეულ იქნა კომუნიკაციები, ხოლო მეოთხე ადგილზე კვების მრეწველობა. შედარებით ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვეს საბანკო სფერომ, ენერგეტიკამ, ვაჭრობამ და სოფლის მეურნეობამ. გამოკითხულები ერთსულოვანი აღმოჩნდნენ იმ

ბიზნესმენტა აზრით საქართველოსათვის მველაზე პერსპექტიულ დარგებად ტურიზმი და ტრანსპორტი მიიჩნევა

საკითხში, რომ მძიმე მრეწველობის და მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარება საქართველოში პერსპექტიული არ არის.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მოქმედ ბიზნესმენტებს საკმაოდ ბევრი პრობლემები ანუხებთ.

უცხოელი ინვესტორები აცხადებენ, რომ საქართველოში ბიზნეს გარემო უარესობისაკენ მიექანება. ზოგიერთი მათგანის აზრით ქვეყანაში 2-3 წლის უკან უფრო უკეთესი გარემო იყო, ვიდრე დღეს. უცხოელი ინვესტორები თვლიან, რომ ისინი ვერ გრძნობენ ხელ შეწყობას ხელისუფლების მხრიდან და რომ მათ ვისაც საქართველოში სურთ შემოსვლა არ ხვდება კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ხელისუფლებაში ისინი ძირითადად აღმასრულებელი შტოთი არიან უკმაყოფილონი, სადაც თავმოყრილია უზარმაზარი ბიუროკრატია, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია. თუმცა ისინი თვლიან, რომ პარლამენტიც არ დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე, ვინაიდან საშუალებას აძლევს სამინისტროებს და სხვა აღმასრულებელ სტრუქტურებს იმოქმედონ თავისუფლად და

უცხოელი ინვესტორები თვლიან, რომ საქართველოში ბიზნეს გარემო უარესობისაკენ მიექანება

კონტროლგარეშე. საჭიროა მოისპოს ისეთი პრაქტიკა, როდესაც საწარმოში მისული საგადასახადო ინსპექტორის საქციელით და დამოკიდებულებით დაშინებული ბიზნესმენი ლამის კრიმინალად მიიჩნევს საკუთარ თავს. საჭიროა ბიზნესმენი მიჩნეულ იქნეს არა უბრალოდ როგორც ფულის შემომტანი, არამედ აგრეთვე როგორც საზოგადოების განუყოფელი ნეერი, რომელსაც უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს იმ გადანყვეტილებათა გამოტანაში მაინც, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებს მის უშუალო საქმიანობაზე.

მსოფლიო ბანკის სტრატეგიული განვითარების პროექტის ათვისება

■ გიორგი ბარბაქაძე
გიორგი ბორითელი

მსოფლიო ბანკს საქართველოსთვის დიდი და მრავალმხრივი პროექტების პაკეტი აქვს გამოყოფილი. განხორციელების პროცესში მყოფი პროექტების რაოდენობა სისტემატურად იზრდება. დღემდე, 1998 ფისკალური წლისათვის, ხუთი კრედიტი იქნა დამტკიცებული, მაშინ, როდესაც მხოლოდ სამი (რეაბილიტაციის კრედიტი, სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტი და საინსტიტუციო განვითარების კრედიტი) დაიხურა ამავე პერიოდის განმავლობაში.

საქართველოში ჩარიცხვების შეფარდება კრედიტებთან მაღალია საშუალო მსოფლიო მაჩვენებლებზე

ჩარიცხვების შეფარდება კრედიტებთან, რომელიც 1997 ფისკალურ წელს 37,4 პროცენტს შეადგენდა, საგრძნობლად მაღალია საშუალო მსოფლიო - 19,8% - და ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის - 18,8 - პროცენტი ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

ჩარიცხვების ასეთი კარგი მაჩვენებელი განაპირობებს არა მხოლოდ თანხების ჩარიცხვისა და სამუშაოს შესრულების მაღალ ტემპს. ასევე პროექტების პაკეტის მაჩვენებლებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საქართველოსათვის გათვალისწინებულ თანხებზე. სწორედ წარსულის კარგი მაჩვენებლის შედეგია, რომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილმა სახსრებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნორმას.

განხორციელებული პროექტების შესრულების კარგი მაჩვენებლის შედეგია, რომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილმა სახსრებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნორმას

პროექტის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლის მიზნით მსოფლიო ბანკს შემუშავებული აქვს სპეციალური რეიტინგული სისტემა, რომლის ფარგლებშიც პროექტების შეფასება ორი მაჩვენებლის საშუალებით

ხორციელდება.

✓ განვითარების მიზნები (გმ). ეს მაჩვენებელი ზომავს პროექტის მიერ ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, აგრეთვე, რეალურ ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, რომლებსაც მოელოა საქართველოს მთავრობა და მსოფლიო ბანკი პროექტის დამტკიცების დროისათვის.

✓ შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესი (შპ). ეს მაჩვენებელი ზომავს, თუ რამდენად მისდევს პროექტის განხორციელების პროცესი თავდაპირველად შემუშავებულ განრიგს, ჰქონდა თუ არა ადგილი პროექტის დასაწყისში რაიმე დაყოვნებას და დაამტკიცა თუ არა პროექტის შედეგებმა,

რომ შეუძლია „დამოუკიდებელი“ არსებობა. ამ მაჩვენებლის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს შემომწმება იმისა: ა) მიღებულ იქნა თუ არა პროექტის დაწყებისათვის ყველა საჭირო ზომა (მაგალითად: საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, პროექტის განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფების შედგენა, რევიზორების დანიშვნა, სპეციალური ანგარიშების გახსნა და ა.შ.); ბ) აქვს თუ არა პროექტის განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელ ჯგუფს სრული მოქმედების უნარი, საკმარისად არის თუ არა მომზადებული (პირდაპირ ან კონსულტანტის საშუალებით) და კვალიფიცირებული მისი შტატი საიმისოდ, რომ პროექტის განხორციელებასა და კოორდინაციას შეუდგეს; გ) მიღებულ იქნა თუ არა ყველა სათანადო ზომა (მაგალითად: საქონლის შექმნა, თანხების

ჩარიცხვა და ა.შ.), რაც ნათელჰყოფს რამდენად ეფექტურად ახორციელებს პასუხისმგებელი ორგანიზაცია აღნიშნულ პროექტს. დ) დაცულია თუ არა სამართლებრივი შეთანხმებები. კომერციული სტრუქტურების შემთხვევაში აღნიშნული შეთანხმებანი, ხშირად ტარიფებთან დაკავშირებულ საკითხებსაც გულისხმობს.

მთლიანობაში პროექტების პაკეტის შესრულების მაჩვენებლებმა 1998 ფისკალური

წლის განმავლობაში განაგრძო უკანასკნელი წლების ტრადიცია და მალალ დონეზე დარჩა. მეორეს მხრივ, სულ უფრო იზრდება პროექტების ცალკეული კომპონენტების რიცხვი, რომლებთან მიმართებითაც არსებობს რისკი იმისა, რომ მათი შესრულების ხარისხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი, რაც განპირობებულია პროექტების მართვის გარკვეული მიზეზებით. მაგალითად შესყიდვების დაყოფებით და ა.შ. რაც შეეხება ზოგადი ხასიათის პრობლემებს, როგორიც არის, მაგალითად, საქონლის შესყიდვა, მათ შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება.

მსოფლიო ბანკს შიშვეთავილი აქვს პროექტების შიშვეთავის ორი სპეციალური მაჩვენებელი: განვითარების მიზნები; პროცესში მიღწეული პროგრესი

არსებობს სამი პროექტი, რომელთა დაფინანსება გათვალისწინებული იყო 1998 წლის ბოლომდე. ესენია: სსკ, რომელიც ხელისუფლებას ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურული ზაციაში დაეხმარება და რომელიც დამტკიცდა — 1998 წლის ივლისში; სანაპირო ზოლის ინტეგრაციული მართვის პროექტი, რომელიც მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის GEF კომპონენტისა და GEF-ის შავი ზღვის რეგიონალური პროგრამის მიერ გამოვლენილ პრიორიტეტებს დააფინანსებს; და ბოლოს, სანარმოთა რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მთავრობას მრეწველობის დარგის რეფორმის დაჩქარებაში დაეხმარება და ამ მიზნით 1. გაუწევს მას საკონსულტაციო სამსახურს სახელმწიფო თუ კერძო სანარმოების რენტაბელობის ამაღლების, სამუშაო, ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის სისტემების ეფექტურობის ზრდის მიზნით; 2. ხელს შეუწყობს საქართველოში მალალ კვალიფიცირებული საკონსულტაციო ინდუსტრიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

1999 ფისკალური წლის განმავლობაში გაგრძელდება პირდაპირი დახმარების პროგრამა ხელისუფლების სტრუქტურული რეფორმის მხარდასაჭერად. ამის პირობებს წარმოადგენს სტაბილიზაციის პროგრამის შემდგომი წინსვლა და „სტრუქტურული განვითარების კრედიტი II“ მეორე ნაწილის ჩარიცხვა. მომავალში დახმარება კონცერტირებული იქნება შემდეგ სფეროებზე: ენერგოსექტორი; პრივატიზაცია და კერძო სექტორის ზრდისათვის პირობების უზრუნველყოფა; სოციალური სფეროს რეფორმა;

1999 ფისკალური წლის განმავლობაში გაგრძელდება პირდაპირი დახმარების პროგრამა ხელისუფლების სტრუქტურული რეფორმის მხარდასაჭერად. ამის პირობებს წარმოადგენს სტაბილიზაციის პროგრამის შემდგომი წინსვლა და „სტრუქტურული განვითარების კრედიტი II“ მეორე ნაწილის ჩარიცხვა. მომავალში დახმარება კონცერტირებული იქნება შემდეგ სფეროებზე: ენერგოსექტორი; პრივატიზაცია და კერძო სექტორის ზრდისათვის პირობების უზრუნველყოფა; სოციალური სფეროს რეფორმა;

სახელმწიფო სექტორის მართვა. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ამ სფეროებში რეფორმის ტემპები, სტრუქტურული ზომების გამოვლენისა და შესრულების მასშტაბები, მსოფლიო ბანკის დახმარებამ მომავალში შესაძლოა ფართომასშტაბიანი დარგთაშორისი კრედიტის ან უფრო მომცრო ზომის დარგობრივი კრედიტის ფორმა მიიღოს.

1999 წლის განმავლობაში სავარაუდოა შემდეგი პროექტების დამტკიცება: თბილისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი, რომელიც დახმარებას გაუწევს თბილწყალკანალს მართვის სისტემების გაუმჯობესებაში, ფინანსურად დამოუკიდებელ და ეფექტურ ორგანიზაციად გარდაქმნაში, რაც განაპირობებს თბილისის

მოსახლეობის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის დარგში მალალი ხარისხის მომსახურებას; სასამართლო ხელისუფლების რეფორმის პროექტი, რომელიც მხარს დაუჭერს მარჯალმსაჯულების სისტემის საფუძვლიან გარდაქმნას. მათ შორის ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, ახალი სასამართლო-პროცედურული ნორმების, ფინანსური და ადმინისტრაციული სისტემების შექმნას, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ხელმეორე სერტიფიკაციას, იურიდიული ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესებას; სოფლის მეურნეობა II /ირიგაციის პროექტი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების გაზრდა და სარწყავი სისტემების გაუმჯობესება.

მომზადების ადრეულ სტადიაში იმყოფება შემდეგი პროექტები: განათლების პროექტი, რომლის მიზანია ზოგადი განათლების სისტემის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესება; ჯანდაცვის მეორე პროექტი, რომლის მიზანია პირველი პროექტის მიერ ნამოსწყებული რეფორმის გაგრძელება. (განსაკუთრებით ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების დარგში); ტრანსპორტის მეორე პროექტი, რომელიც გაფართოებს გზების

ტექნიკური მომსახურებისა და რკინიგზის, საპარეო ტრანსპორტისა და პორტების სფეროში მიმდინარე რეფორმებს; ელექტროენერჯის ბაზრის ხელშეწყობის პროექტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დარგის პრივატიზაციას; გამწვანების პროექტი, რომელმაც უნდა დაიცვას ბიომრავალფეროვნება და გააუმჯობესოს მეტყევეობის დარგის მართვა. გარდა ამისა მომზადების სტადიაშია გაზის მეურნეობის პრივატიზაციის პროექტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კერძო სექტორის

მონაწილეობას გაზის გადაცემისა და განაწილების პროცესებში. ეს პროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ შემუშავებულ იქნება შესაბამისი ნორმატიული ბაზა.

ზემოთ აღწერილი სამუშაოების განხორციელება მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ საქართველო კვლავაც მტკიცედ იდგება ეკონომიკური რეფორმის კურსზე, რაც

საქართველოს მიერ მიღებული ყველა კრედიტი მსოფლიო ბანკის ჯგუფიდან გამოყოფილია საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სახსრებიდან

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის რესურსებისა და რეკონსტრუქციის, ასევე განვითარების საერთაშორისო ბანკის კრედიტებს მოპოვების საწინდარია. ამასთანავე, მაღალი რეესტრის საკრედიტო პროგრამის შენარჩუნება კონკრეტულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და შესრულების პირობებზე იქნება დამოკიდებული. ესენია, მაკროეკონომიკური მართვის შემდგომი პროგრესი, ენერგოსექტორის პრივატიზაცია და რესტრუქტურირება, რესურსების მობილიზაციის სისტემის გაუმჯობესება, პრივატიზაცია და ფინანსური სექტორის რეფორმა, სოციალური სფეროს რეფორმა. დაბალი რეესტრის სცენარში მოხვედრა ნიშნავს, რომ საქართველო ვერ მოიპოვებს რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის კრედიტებს და მისი კრედიტუნარიანობა კიდევ უფრო არასაიმედო გახდება. ეს კი, თავის მხრივ, შეაფერხებს ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სარწყავი და გამწვანების სისტემების მუშაობას.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და რეფორმების წყალობით შესაძლებელი გახდება იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობით კრედიტების მოპოვება შეიძლება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისაგან.

დაბალი რეესტრის სცენარში მოხვედრა ნიშნავს, რომ საქართველო ვერ მოიპოვებს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის კრედიტებს

მსოფლიო ბანკის ყოველწლიური საკრედიტო მიმოხილვა თითოეული ქვეყნის მიერ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან სამ წლიანი პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხების ოდენობას განსაზღვრავს. ეკონომიკური

რეფორმების წინსვლასთან ერთად არსებობს კიდევ რამდენიმე ფაქტორი, რომელთაც ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სახსრების მიღებისათვის. ეს ფაქტორებია მიმდინარე პროექტების პაკეტის წარმატებით შესრულება, სახელმწიფო სექტორის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და მისი საქმიანობის გამჭვირვალობა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, წარსულში საქართველომ გამოამჟღავნა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი სახსრების სათანადო დათვისების უნარი. მომავალში საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სახსრების მიღებას ხელს

შეუწყობს მაღალი რეიტინგის შენარჩუნება და ასევე ხელისუფლების პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

საკრედიტო პროგრამას დაემატა ეკონომიკური და დარგობრივი მუშაობა შემდეგ სფეროებში: *სასამართლო სისტემის შეფასება. ელექტროენერგო სექტორის პრივატიზაციის საბოლოო ანგარიში 1997 წლის დეკემბერში იქნა წარმოდგენილი; ასევე შესრულდა განათლების სფეროს შესწავლა და სიღარიბის მასშტაბების შეფასება.*

საქართველომ გამოამჟღავნა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი სახსრების სათანადოდ ათვისების უნარი.

მსოფლიო ბანკის პროექტების ძალაში შესვლის საბოლოო ვადაა საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 90-ე დღე. საქართველოს პაკეტის შემადგენლობაში შემავალი პროექტების ძალაში შესვლის საშუალო ხანგრძლივობა საბჭოს მიერ კრედიტის დამტკიცების დროიდან შეადგენს 104 დღეს. გასული წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ვადების გადაცილებას, არც ხდებოდა პარლამენტის მიერ მსოფლიო ბანკის პროექტების რატიფიკაციის მიზეზით. განსაკუთრებით ეს

ეხება სოციალური ინვესტიციის ფონდისა და კულტურის მემკვიდრეობის კრედიტებს, რომელთა რატიფიკაცია პარლამენტმა მხოლოდ ხანგრძლივი დებატების შემდეგ მოახდინა.

კულტურული მემკვიდრეობის კრედიტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა არა ორაზროვნად განაცხადეს გადაუდებელი უცხოური ტექნიკური დახმარების აუცილებლობის შესახებ. რაც

ესაჭიროებოდა პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა პროექტის მართვა, ფინანსური მართვა, საქონლის შესყიდვა და შემონახვა. მიუხედავად ამისა პარლამენტი ჯიუტად განაგრძობდა დებატებს იმის შესახებ, სჭირდება თუ არა საქართველოს ასეთი დახმარება, სანამ საბოლოოდ მაინც არ მოახდინა პროექტის რატიფიკაცია. მთავარი გაკვეთილი, რომელიც ამ შემთხვევაში მივიღეთ, ის არის, რომ პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფებმა რეგულარულად უნდა მიაწოდონ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს ინფორმაცია პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. აუცილებელია, რომ ეს ჯგუფები არა მხოლოდ თავიანთ პარტნიორებს, ეკონომიკური სამინისტროებისა და სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენლებს ხვდებოდნენ, არამედ რეგულარულად აწვდიდნენ ცნობებს პარლამენტის წევრებს, რათა ეს უკანასკნელნი მუდამ პროექტების მიზნებისა და მასშტაბების საქმის კურსში იყვნენ.

მსოფლიო ბანკი ცდილობს უზრუნველყოს მოვალის ფინანსური ერთგულება პროექტის მიმართ და ხელი შეუწყოს სახსრების მობილიზებას სხვა კრედიტორებისა და ინვესტორებისაგან. ამისათვის იგი ცდილობს მის მიერ დაფინანსებული წილები საერთო ღირებულების გარკვეულ საზღვრებში მოაქციოს. აქედან გამომდინარე, იგი აწესებს შიდა სარგებლობის ნორმატიულ ბაზას მსოფლიო ბანკის წილის ლიმიტირების მიზნით, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა მმართველობამ. ამ ნორმატიული ბაზის მიზნები შემდეგია:

- მოახდინოს მსოფლიო ბანკის რესურსების განაწილება;
- მაქსიმუმამდე აიყვანოს მსოფლიო ბანკის წვლილი ქვეყნის განვითარებაში ფართო სპექტრის ოპერაციებსა და პროექტებში მისი ჩართვის გზით და ამასთანავე მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია ყველაზე უფრო პრიორიტეტულ სფეროებზე;
- ხელი შეუწყოს ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას, მისცეს მოვალეს დაფინანსების იმპულსი და გაანეიტრალოს ამის სანინააღმდეგო იმპულსი. მსოფლიო ბანკის საყოველთაო ლიმიტი ამგვარ წილებთან დაკავშირებით, ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის შემოსავლების შესაბამისად, 50 პროცენტიდან (მაღალი შემოსავლების მქონე მოვალეებისათვის) 90 პროცენტამდე (საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მცირე შემოსავლების მქონე მოვალეებისათვის) მერყეობს.

მსოფლიო ბანკი ცდილობს გაზარდოს მის მიერ დაფინანსებულ პროექტებში სახელმწიფოს,

როგორც პარტნიორის წილი. ხელისუფლების წილის გადახდა (რომელსაც „პარტნიორის წილი“ ეწოდება) სულ უფრო დიდ პრობლემად შეიძლება გადაიქცეს საქართველოს პროექტების პაკეტისათვის. მაგალითად, სოციალური ინვესტიციის ფონდის კრედიტის ძალაში შესვლა (იგი დამტკიცებულ იქნა 1997 წლის 11 დეკემბერს) იმიტომ გადაიდო, რომ ხელისუფლებამ ვერ შესძლო თავისი წილი 350 000 აშშ დოლარის გადარიცხვა ადგილობრივ ანგარიშზე. დიდი გასავლები სულ უფრო და უფრო ართულებს პარტნიორისაგან თავისი წილის გადახდის პერსპექტივებს. ამის გამო მიზანშეწონილი იქნებოდა მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები რეგულარულად / კვარტალში ერთხელ / შეხვდნენ ერთმანეთს და ხელისუფლების წილის გამოყოფის შესახებ იმსჯელონ. ეს უნდა იყოს სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება.

მსოფლიო ბანკი იქითაინ ისწრაფვის, გაზარდოს მის მიერ დაფინანსებულ პროექტებში სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის წილი

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების გამოყოფა სესხების სპეციალური უფლებების (SDR) საფუძველზე წარმოებს. გასული წლის განმავლობაში აშშ დოლარი შედარებით გაძლიერდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ პროექტებმა, რომელთა განხორციელების პერიოდი დოლარის დასუსტების პერიოდს დაემთხვა. ფინანსური დანაკლისი განიცადეს დოლარის კურსში განსხვავების გამო. ამ მხრივ განსაკუთრებით ის პროექტები დაზარალდნენ, რომელთა დამტკიცება 1994 და 1996 წლებში მოხდა. ასეთებია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის პროექტები, რომელთა განხორციელების პროცესში დოლარებში გამოყოფილი კრედიტის თანხები შესაბამისად 6,9 და 7,2 პროცენტით შემცირდა. მიუხედავად ამისა, რომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისათვის ეს ისტორიული პრობლემაა, ამჯერად არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული ამ პრობლემის ინსტიტუციონალურ დონეზე მოსაგვარებლად. თუ საკრედიტო თანხების შემდგომი ჩარიცხვების პროცესში დოლარის კურსი კვლავაც მყარი დარჩა, საქართველოს მთავრობამ, მსოფლიო ბანკთან ერთად, შესაძლოა ზოგიერთი კომპონენტის რესტრუქტურისა, ბიუჯეტის შემცირება ან კომპლექსური პროექტების შემუშავება მოისურვოს (მაგალითად, ტრანსპორტის პროექტის შემთხვევაში, როდესაც თანხების სიმცირის გამო ცალკე სსკ პროექტი იქნა შემუშავებული სახსრების გარეშე დარჩენილი

სფეროების დასაფინანსებლად).

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პროექტის განმახორციელებელი ჯგუფები მრავალ პრობლემას წააწყდნენ კრედიტების ხარჯზე შექმნილი აპარატურის ბაჟის გადაუხდელად იმპორტირებასთან დაკავშირებით, რაც საკრედიტო ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. კერძოდ, ამ რიგის პრობლემებს ჰქონდა ადგილი ინსტიტუციონალური მშენებლობისა და ელექტროენერგო სექტორის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით. ინსტიტუციონალური მშენებლობის პროექტის შემთხვევაში სიტუაცია ფინანსთა სამინისტროს ჩარევის შედეგად განიშუხტა. გაცემულ იქნა საგანგებო ნებართვა, რათა საბაჟოს გადაეცა ადრესატისათვის ამ უკანასკნელის სახელზე ჩამოტანილი აპარატურა, მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც აღნიშნული აპარატურა 6 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა საბაჟოს საწყობში. იმ დროისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალა საერთო ნებართვა გაცემულიყო არა მხოლოდ მსოფლიო ბანკის, არამედ სხვა ფინანსური ინსტიტუტების სასარგებლოდაც, რომელიც მათ საგადასახადო ვალდებულებებისაგან ათავისუფლებდა. ამ ნებართვას ვადა 1997 წლის ბოლოს გაუვიდა. ამის შემდეგ პროექტის განმახორციელებელი ჯგუფები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ახერხებდნენ გადასახადებისაგან გათავისუფლებას. მსოფლიო ბანკის შინაგანწესი არ ითვალისწინებს გადასახადების გადახდას კრედიტების ხარჯზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკი გადასახადებისაგან გათავისუფლებას მოითხოვს, უბრალოდ გადასახადები მთავრობამ უნდა გადაიხადოს.

გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობის მოხელეების ხელფასები შედარებით დაბალია, აგრეთვე, იმ მიზნით, რომ პროექტის განმახორციელებელ ჯგუფებში სამუშაოდ მაღალი კვალიფიკაციის პერსონალი უნდა იქნას აყვანილი, შეთანხმებულ იქნა, რომ ჯგუფის წევრები განიხილებიან, როგორც კონსულტანტები და მათი ანაზღაურება საკრედიტო თანხებიდან გაიცემა. ეს სრულიად მისაღები პრაქტიკაა. მაგრამ ასევე საჭიროა თანამიმდევრული შრომის შინაგანწესის შემუშავება, რომელიც ყველა ჯგუფისათვის საერთო იქნებოდა.

გასული წლის განმავლობაში პროექტების განმახორციელებელი ჯგუფების წევრთა ხელფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აშკარა გახდა, რომ გარკვეული კონტროლი უნდა დანესდეს იმ მიზნით, რომ სიტუაცია ამ მხრივ არ გამოვიდეს კონტროლის ქვეშიდან. ჩვენი წინადადებაა, რომ ფინანსთა სამინისტრომ, სახელმწიფო კანცელარიასთან ერთად და, თუ

საჭიროა ბანკის მისიასთან ერთადაც, შეიმუშავოს პროექტების შიდა განაწესი და ჯგუფის წევრების შრომის პირობების სახელმძღვანელო დებულებები. შეთანხმებული პრინციპები ასეთი უნდა იყოს:

- ✓ პერსონალის დაქირავება საკონკურსო საფუძველზე;
- ✓ თითოეული პოზიციის უფლება-მოვალეობების ზუსტი აღწერა;
- ✓ ხელფასების ერთგვაროვანი სტრუქტურა;
- ✓ საყოველთაო და ყოვლისმომცველი ადმინისტრაციული და საკადრო წესები, რომლებიც ჯგუფის წევრთა შრომის პირობებს დაარეგულირებს.

გარდა ამისა რეკომენდირებულია, რომ ხელფასების სტრუქტურა ძალაში შევიდეს 1999 წლის 1 იანვრიდან. პროექტების დირექტორების ანაზღაურება და შეღავათები ერთგვაროვანი უნდა იყოს ბანკის ყველა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფისათვის, რომელიც საქართველოში მოქმედებს.

მსოფლიო ბანკის ინტერესი შესყიდვების მიმართ გამომდინარეობს შეთანხმების მუხლებისაგან, რომელთა თანახმად მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრები მხოლოდ იმ მიზნებით უნდა იქნას ათვისებული, რომლებისთვისაც გაიცა კრედიტი. ამასთან, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკონომიასა და ეფექტურობაზე. თავისი კრედიტების ათვისების მიზნით ბანკს დადგენილი აქვს გარკვეული წესები. პროექტების გაკონტროლებისა და განხორციელების მიზნით იგი დახმარებას უწევს დაფინანსების ობიექტებს ისეთი პოზიციების დაფინანსებაში, როგორებიცაა, მაგალითად, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

მსოფლიო ბანკს ხუთი ძირითადი პრინციპი გააჩნია, რომელიც მსოფლიო ბანკში მიღებულ შესყიდვის წესებს არეგულირებს. ესენია:

- პროექტისათვის საჭირო საქონელი და მომსახურება შესყიდულ უნდა იქნას ეკონომიურობისა და ეფექტურობის პრინციპების საფუძველზე;
- შესყიდულ უნდა იქნას მხოლოდ ის საქონელი და მომსახურება, რომელიც პროექტის განხორციელებისათვის არის საჭირო;
- კონკურსში მონაწილე ყველა კვალიფიცირებულ პრეტენდენტს, რომელიც ბანკის წევრ ქვეყანას წარმოადგენს, უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა იბრძოლოს ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტების მოპოვებისათვის;
- ნაახალისოს მოვალე ქვეყნის მკვიდრი მოიჯარეები და მწარმოებლები;
- უზრუნველყოს შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობა.

მართალია, საქართველო მსოფლიო ბანკის შედარებით ახალი წევრი ქვეყანაა, მიუხედავად

ამისა საპროექტო ჯგუფების წევრებმა სწრაფად აითვისეს მსოფლიო ბანკში მიღებული შესყიდვებთან დაკავშირებული წესები. 10-დან 8 ჯგუფმა, რომელიც სხვადასხვა პროექტს ახორციელებს, მინიმუმ „დამაკმაყოფილებელი“ შეფასება მიიღო შესყიდვების რეიტინგის უკანასკნელი ფორმა 590-ის შესაბამისად (გამონაკლისს სოფლის მეურნეობის განვითარების კრედიტი წარმოადგენს). ამის მიუხედავად გადაწყდა, რომ ამ ჯგუფების წევრებს უფრო ინტენსიური მომზადება გაეწეოთ შესყიდვების სფეროში. კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნილ იქნა ორი თანამშრომელი და მოსალოდნელია, რომ კალენდარული წლის ბოლომდე ისინი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ ჯგუფების კვალიფიკაციას შესყიდვებთან დაკავშირებით. ამ მხრივ სამაგალითო შედეგები აჩვენეს ინსტიტუციონალური განვითარების კრედიტის, სტრუქტურული გარდაქმნის ტექნიკური დახმარების კრედიტი (სგტდკ) I და II, სახელმწიფო შესყიდვის ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის გრანტის პროექტების განმახორციელებელმა ჯგუფებმა. მათი მუშაობა მისაბაძი უნდა გახდეს სხვა ჯგუფებისათვის.

სახელმწიფომ შესყიდვების რეფორმის ფართო კონტექსტში და მთავრობის თხოვნის საფუძველზე 1998 წლის მარტში მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის გრანტი „სახელმწიფო შესყიდვების სარეგულაციო წესების შემუშავებისათვის“. გრანტის მიზანია ხელი შეუწყოს მუშაობას სახელმწიფო შესყიდვების დამარეგულირებელ საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზაზე, აგრეთვე დააფინანსოს სახელმწიფო მოხელეებისა და კერძო სექტორის კონტრაქტორების მოსამზადებელი ლონისძიებები.

პარლამენტს უკვე წარედგინა განსახილველად საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც საქართველოს მთავრობამ მოამზადა ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული

შესყიდვებთან დაკავშირებით სამაგალითო შედეგები აჩვენეს საინსტიტუციო განვითარების კრედიტის, სგტდკ I და II, სახელმწიფო შესყიდვის ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის გრანტის პროექტების განმახორციელებელმა ჯგუფებმა

კონსულტანტების დახმარებით. ამ კანონის სწრაფი რატიფიკაცია დააჩქარებს სახელმწიფო სექტორში შესყიდვების პრაქტიკის

დამკვიდრებასა და დასრულებას.

სპეცილური ანგარიშები ერთ-ერთი პროცედურული ელემენტებია, რომლითაც სარგებლობენ მსოფლიო ბანკის კრედიტებით დაფინანსებული მიმწოდებლები, მოიჯარეები და კონსულტანტები. სპეციალური ანგარიშები საბანკო ანგარიშებია, რომლებსაც ხსნიან პროექტის განმახორციელებელი ჯგუფები უცხოურ ვალუტაში. მსოფლიო ბანკს კონკრეტული მოთხოვნები გააჩნია იმ ბანკების მართვასა და შერჩევასთან დაკავშირებით, სადაც უნდა გაიხსნას ამგვარი ანგარიშები. 1997 წლის ბოლოს ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ადგილობრივი ბანკების ნუსხა, სადაც უნდა გაიხსნას სპეციალური ანგარიშები მსოფლიო ბანკის კრედიტებთან დაკავშირებით. ეს ნუსხა მსოფლიო ბანკის თანხების ჩარიცხვის განყოფილებამაც მიიღო. ეს ბანკებია: აბსოლუტბანკი, ინტელექტბანკი, საზღვაო ბანკი, თბილკომბანკი, თბილკრედიტბანკი, თბილ-უნივერსალბანკი და TBC ბანკი.

ამჟამად, სგტდკ II, სოციალური ინვესტიციის ფონდისა და კულტურის მემკვიდრეობის პროექტები სპეცილური ანგარიშისათვის სწორედ ადგილობრივი კომერციული ბანკების მომსახურებით სარგებლობენ. აქამდე ეს ბანკები ნორმალურად მუშაობენ და მათთან თანამშრომლობის დროს პრობლემებს ადგილი არ ჰქონია. სოფლის მეურნეობის განვითარების კრედიტი საქართველოს ეროვნული ბანკის მომსახურებით სარგებლობს, რომელიც საკმაოდ კარგად მუშაობს. ამისდა მიუხედავად სოფლის მეურნეობის მეორე კრედიტი მისი მომსახურებით

ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ადგილობრივი ბანკების ნუსხა, სადაც უნდა გაიხსნას სპეციალური ანგარიშები მსოფლიო ბანკის კრედიტებთან დაკავშირებით

არ ისარგებლებს, რათა საშუალება მისცეს ადგილობრივ კომერციულ ბანკს გამოიყენოს ეს ხელსაყრელი შემთხვევა.

პროექტების განმახორციელებელი ჯგუფების უკმაყოფილება გამოიწვია ფულის გაცემასთან დაკავშირებით არსებული პრობლემებმა, უპირველეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ მსოფლიო ბანკი საკმაოდ ნელა მოქმედებს სპეციალური ანგარიშების შევსებისა და ფულის გამოტანის განცხადების გაფორმების თვალსაზრისით. ზოგ შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი შეიძლება „დოიჩე ბანკს“ მიენეროს. საქმე

ის არის, რომ „დოიჩე ბანკი“ მხოლოდ კვარტალში ერთხელ იძლევა განცხადებებს, რაც არ აძლევდა პროექტების განმახორციელებელ ჯგუფებს საშუალებას ყოველთვიურად შეეცნოთ სპეციალური ანგარიშები. მსოფლიო ბანკის მხრიდან წელი მოქმედება იმის შედეგია, რომ მას ჩარიცხვების განყოფილებაში არა ჰყავს საკმარისი რაოდენობის თანამშრომლები. ეს პრობლემა შესწავლის სტადიაშია. სწორედ ამ მიზნით გამართა მსოფლიო ბანკის ჩარიცხვების განყოფილებამ 1998 წლის მაისში თბილისში სპეციალური სემინარი ჩარიცხვების საკითხებზე. სემინარს მსოფლიო ბანკის მეზობელი მოვალეებიც დაესწრნენ. 1998 წლის აპრილში სახელმწიფო საგადასახდო სამსახურმა კონფისკაცია გაუკეთა ელექტროენერგო სექტორის რეაბილიტაციის პროექტის სპეციალურ ანგარიშზე რიცხულ თანხებს. ეს საკრედიტო ხელშეკრულების დარღვევით მოხდა, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა შეეცნო ანგარიში და შეეხსენებინა საგადასახდო სამსახურისათვის მთავრობის ვალდებულებების შესახებ.

საქართველოს ხელისუფლებასა და მსოფლიო ბანკს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულება კონკრეტულ მოთხოვნებს ითვალისწინებს საალრიცხვო პროცედურასთან დაკავშირებით, რამაც პროცესის გამჭვირვალობა და სათანადო ხარისხის ფინანსური მენეჯმენტი უნდა უზრუნველყოს. მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულებები ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკისაგან მოითხოვს უზრუნველყოს კრედიტებით სარგებლობა ეკონომიკურიობისა და ეფექტურობის პრინციპების საფუძველზე და მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნების შესაბამისად, რომელთა გამოც გაიცა ესა თუ ის კრედიტი. ეს მოთხოვნები, ყოველ შემთხვევაში, მოთხოვნა იმისა, რომ სისტემატურად წარმოებდეს ზუსტი ჩანაწერები სათანადო საალრიცხვო წესების შესაბამისად, პროექტის დასაწყისიდანვე მკაცრად უნდა იყოს დაცული და რეგულერულ შემოწმებასა და დამტკიცებას უნდა ექვემდებარებოდეს.

რაც შეეხება პროექტების რევიზიასთან დაკავშირებულ ფინანსურ შეთანხმებებს, პაკეტი შემაჯავალი პროექტების უმრავლესობა აკმაყოფილებს ასეთი შეთანხმებების პირობებს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევაში, რევიზია ადგილობრივმა სააუდიტორო ფირმებმა განახორციელეს. როგორც მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ დაადგინა, 1999 ფისკალური წლიდან დაწყებული, რევიზიები არა ადგილობრივმა ფირმებმა, ანუ საერთაშორისო დონეზე ცნობილმა საალრიცხვო-

სააუდიტორო ფირმებმა უნდა ჩაატარონ, რომელთაც წარმომადგენლობა აქვთ გახსნილი საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში. ადგილობრივი სააუდიტო ფირმები არ არიან რეგისტრირებულნი ISA -ს მიერ, ისინი სრულიად უცნობნი არიან საერთაშორისო საფინანსო წრეებისათვის და არც სრული აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა გააჩნიათ. გარდა ამისა ჯანსაღი პრაქტიკა მოითხოვს, რომ თითოეული პროექტისათვის რევიზორი ამ პროექტის ძალაში შესვლამდე დაინიშნოს.

კრედიტების მართვაში ცვლილებების ინიციატივა ჩარიცხვების ახალი სისტემა არის, რომლის მიზანია ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესების ხარჯზე უფრო მოქნილი გახადოს ჩარიცხვებთან დაკავშირებული პროცედურა და უზრუნველყოს ამ მხრივ უფრო მეტი პასუხისმგებლობის დაკისრება მოვალისათვის. კრედიტების მართვაში ცვლილებების ინიციატივის პროცედურა ეფუძნება საკრედიტო/სასესხო სახსრების მოძრაობას სპეციალური ანგარიშების მოძრაობის გზით, "ex-ante" პრინციპის საფუძველზე, რომელთა შევსება იწარმოებს კვარტალში ერთხელ ბანკისათვის ფინანსური მართვის ჩანაწერების წარდგენის შემდეგ. ამგვარი ჩანაწერების საშუალებით უნდა მოხდეს პროექტის გასაველების გამართლება მისი ფიზიკური განხორციელების პროცესში, აგრეთვე, სამომავლო ხარჯების განსაზღვრა. სპეციალური ანგარიშების შევსების ამჟამად არსებული მრავალ-იარუსიანი სისტემა, რომელიც SOE-ებისა და დამხმარე

1999 ფისკალური წლიდან დაწყებული, რევიზიები მსოფლიო ბანკის პროექტების განხორციელებაზე არა ადგილობრივმა ფირმებმა, არამედ საერთაშორისო დონეზე ცნობილმა საალრიცხვო-სააუდიტორო ფირმებმა უნდა ჩაატარონ

დოკუმენტების წარდგენაზე, პირდაპირ ანგარიშსწორებასა და სპეციალურ ვალდებულებებზე დამოკიდებული, თანდათანობით შეიცვლება ფინანსების მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და მოვალის შესაძლებლობების გაფართოებასთან ერთად. ამ მხრივ დიდი როლი უნდა შეასრულოს მსოფლიო ბანკის მიერ დანიშნულმა სპეციალისტებმა ფინანსური მენეჯმენტის დარგში, რომლის მოვალეობა ის იქნება, რომ შეამოწმოს ფინანსური მართვის ჩანაწერების და განცხადებები ანგარიშების შევსების შესახებ. კრედიტების მართვაში ცვლილებების ინიციატივის სისტემის დამკვიდრება ამჟამად არ არის შემოფარგლული დროითი ლიმიტით, მაგრამ მომავალში იგი აუცილებლად დამკვიდრდება მოვალესა და მსოფლიო ბანკს შორის თითოეულ პროექტთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. ამ სისტემის გასინჯვა ამჟამად ბალტიისპირეთის ქვეყნებში მიმდინარეობს და მისი დანერგვა ყოველი

საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში არ არის მოსალოდნელი მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

საინსტიტუციო განვითარების პროექტი:
 მოვალე: საქართველოს რესპუბლიკა;
 მოსარგებლე: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა;
 პროექტის საწყისი ღირებულება: 10,9 მლნ. აშშ დოლარი;

განვითარების საერთაშორისო

ასოციაციის კრედიტი: 10,1 მლნ. აშშ დოლარი;
 თანადადამფინანსებლები (დიაგრამა №1):
 გრანტები: 0,6 მლნ. აშშ დოლარი;

საქართველოს მთავრობა: 0,2 მლნ. აშშ დოლარი;

საბჭოს სხდომის თარიღი: 1994 წლის 5 ივლისი;

ხელმოწერის თარიღი: 1994 წლის 11 ივლისი;

ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 24 აგვისტო;

შესრულების ვადა: 3 წელი (გაგრძელდა 1998 წ. 30 ივნისამდე)

საბოლოოდ გამოყოფილი თანხა: 10,63 მლნ. აშშ დოლარი.

საინსტიტუციო განვითარების პროექტის მიზანი იყო დახმარების განწევა საქართველოს მთავრობისადმი ინსტიტუციონალური ბაზის ფორმირებაში, რომელიც მას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ესაჭიროება. ამ მიზნის განხორციელება გათვალისწინებულია სახელმწიფო ორგანიზაციების სამ ფუნქციონალურ სფეროში გაძლიერების გზით:

ა) ფინანსები;


ბ) ეკონომიკის მართვა;

გ) პრივატიზაცია და საწარმოთა რეფორმა.

კარგმა მუშაობამ ეკონომიკური რეფორმის განხორციელების პროცესში და მკვეთრმა შემობრუნებამ ეკონომიკურ საქმიანობაში პროექტის მიზნების წარმატებით განხორციელება და უაღრესად პოზიტიური შედეგები უზრუნველყო.

დიაგრამა №1

საინსტიტუციო განვითარების პროექტის თანადადამფინანსებლები



პროექტით თავიდან გათვალისწინებული იყო შემდეგი კომპონენტები:

1. ფინანსური სფეროს რეფორმა (2,325 მლნ. აშშ დოლარი)

ა) ფინანსური სფეროს რესტრუქტურული ზაცია: ეს სფერო ითვალისწინებდა საკონსულტაციო მომსახურების განწევასა და შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობების უზრუნველყოფას შემდეგი

საინსტიტუციო განვითარების პროექტის მიზანი იყო დახმარების განწევა საქართველოს მთავრობისადმი ინსტიტუციონალური ბაზის ფორმირებაში, რომელიც მას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ესაჭიროება

მიზნებისათვის:

- საყოველთაოდ ცნობილი სისტემების, მსოფლიოში მიღებული სააღრიცხვო და სარევიზიო სისტემების დამკვიდრება და ამოქმედება;

- დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარება ხუთ სახელმწიფო ბანკში და რეკომენდაციების შემუშავება სისტემის სწორ გზაზე დაყენების მიზნით;

- არსებული საანგარისსწორებო სისტემის გადასინჯვა და რეკომენდაციების შემუშავება სისტემის სწორ გზაზე დაყენების მიზნით.

1. ეკონომიკის მართვა (5,66 მლნ. აშშ დოლარი)

ა) ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა ითვალისწინებს:

დახმარების განწევას პრემიერ-მინისტრის მოადგილის (ამჟამად პრეზიდენტის მთავარი მრჩეველის ეკონომიკურ საკითხებში) სამსახურს ეკონომიკის მართვის სფეროს სამთავრობო ორგანოების — განსაკუთრებით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების — რესტრუქტურული ზაციისა და რეფორმის სტრატეგიის შემუშავებაში, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და ანალიზში.

გ) სტატისტიკური სამსახურებისათვის განსაზღვრული იყო:

საკონსულტაციო მომსახურება, კადრების მომზადება და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყოფა სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტისათვის, რომელიც აპირებს:

- გადასინჯოს ეროვნული სააღრიცხვო ინფორმაციის შეგროვებისა და გადამუშავების მეთოდოლოგია და დანერგოს საქართველოში ეროვნული სააღრიცხვო სისტემის საერთაშორისო მაშტაბით აღიარებული ნორმები;

- შეიმუშავოს და განახორციელოს ქ. თბილისში მცხოვრები ოჯახების გამოკვლევის გაუმჯობესებული სისტემა.

დ) საგადასახადო ადმინისტრაციაში შედიოდა:

- საგადასახადო სამსახურების კომპიუ-

საინსტიტუციო განვითარების კრედიტით თავიდან გათვალისწინებული იყო 31 კომპონენტი 10,1 მლნ. აშშ დოლარის ღირებულებით

ტერიზაცია; საერთაშორისო განვითარების ასოციაციის საცდელი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქ. თბილისისა და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოდერნიზაციასა და კომპიუტერიზაციას.

- სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის პერსონალის მომზადებას.

ე) ხაზინა

ეს პუნქტი ითვალისწინებდა შემდეგს:

- პირველი ეტაპი: ფინანსთა სამინისტროში და ამ სამინისტროს ქ. თბილისის რეგიონალურ განყოფილებაში ცენტრალური ხაზინის ფუნქციონალური სისტემის დანერგვას;

- მეორე ეტაპი: მთელს საქართველოში რეგიონალური ხაზინების გახსნას.

- ხაზინის განყოფილებების კომპიუტერულ აღჭურვას საერთაშორისო განვითარების ასოციაციის დაფინანსებით.

ვ) საბაჟო ადმინისტრაციის გაძლიერება ითვალისწინებდა:

საგადასახადო კომიტეტისათვის დახმარების განევა შემდეგი მიმართულებით:

1) საბაჟო სამუშაოების ორგანიზაციისა და წესის გამარტივება და რეფორმირება;

2) საბაჟოების მართვის სისტემის მოდერნიზაცია;

3) საბაჟოების კადრების მომზადება მართვისა და კომპიუტერიზაციის საკითხებში;

4) ქ. თბილისის შტაბ-ბინასა და აეროპორტის საბაჟოში, საცდელ სანყისებზე, გნბაჟების პროცესის, საბუღალტრო აღრიცხვისა და სტატისტიკის კომპიუტერიზაცია.

ზ) დახმარების კოორდინაციის ფარგლებში:

- პროექტი დააფინანსებდა გრძელ-ვადიან უცხოელ კონსულტანტებს და ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლის მიზანი იყო „დახმარების მართვის განყოფილების“ კადრების მომზადება და ხელშეწყობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა დონორების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათთან მიღებული წესების შესწავლა, ქვეყნისათვის საგარეო დახმარების პრიორიტეტების შეთავსება ეროვნული განვითარების გეგმებთან და ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უცხოური დახმარების ორგანიზაციებისათვის.

- პროექტი დააფინანსებდა უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ ხელისუფლების სტრუქტურების კადრებს დარგობრივი ინფორმაციის ანალიზში პროექტების იმ დონეზე მომზადების მიზნით, რომელიც მისაღები იქნება საერთაშორისო დონორებისათვის.


პროექტის განხორციელება: პროექტს უნდა დაეფინანსებინა:

- უცხოურ საკონსულტაციო ფირმა შესყიდვის დარგში, რომელიც დახმარებას გაუწევდა პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს ამ პროექტის ფარგლებში საგადასახადო და საქონლის შესასყიდი დოკუმენტების მომზადებაში და უზრუნველყოფდა შესყიდვების ოპერაციების შესაბამისობას მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულებებთან, რომლებიც შესყიდვებს შეეხება;

- გეგმის კომპიუტერიზაცია და აპარატურის შეძენა ამ პროექტის ფარგლებში.

1. პრივატიზაცია და სანარმოთა რეფორმა (2,27 მლნ. აშშ დოლარი)

დიაგრამა №2



პრივატიზაციის მხარდაჭერა ითვალისწინებდა:

- ერთ მოკლევადიან უფროს მრჩეველს, რომელიც დახმარებას გაუწევდა ქონების მართვის

საინსტიტუციო განვითარების კრედიტით დაფინანსდა 10,63 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების 41 კომპონენტი

სამინისტროსა და პრეზიდენტის ეკონომიკურ საკითხებში მთავარი მრჩეველის სამსახურს მიმდინარე პრივატიზაციის გეგმის გადასინჯვაში;

- ექსპერტები და ტექნიკური აღჭურვილობა, დახმარებას გასწევდნენ:

1) მასობრივი პრივატიზაციის პროგრამისა და სავაუჩერო პრივატიზაციის გეგმის შედგენაში;

2) მასობრივი პრივატიზაციის მხარდაჭერი საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა-გამხორციელებაში;

3) სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კადრების მომზადებასა და

სამინისტროს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაფართოებაში;

4) პრივატიზაციისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვისა და შემდგომ განვითარებაში.

ამ პროექტის განხორციელებისას საერთაშორისო განვითარების ასოციაციის დაფინანსებით შესრულდა 41 კომპონენტი საერთო ღირებულებით 10,63 მლნ. აშშ დოლარი. გათვალისწინებული იყო 31 კომპონენტი 10,1 მლნ. აშშ დოლარის ღირებულებით, მაგრამ პროექტის განხორციელების პროცესში გამოიჩინა, რომ ზოგიერთი კომპონენტი აღარ იყო საჭირო ან ისეთი აქტუალური, როგორც პროექტის დაგეგმვის დროს. ასეთი დანაზოგი სახსრებით

შესრულებას და ახორციელებდნენ შემდეგი პერიოდის დაგეგმვას. ამ დროს ხდებოდა ძველი კომპონენტების გაუქმება და ახლის დაფინანსება საჭიროების გამოვლენის მიხედვით. მუდმივი კონტროლი ფაქტიურად საშუალებას იძლეოდა

საბაჟო დეპარტამენტისათვის გამოყოფილ და ათვისებულ იქნა 1,25 მლნ. აშშ დოლარი, რომლის ფარგლებშიც ASYCUDA-ის პროგრამული გაზიტი შეიძინა ერთიანი საბაჟო კომპიუტერულ-საალრიცხვი სისტემა

იმისა, რომ მიზნობრივად დახარჯულიყო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი საინსტიტუციო განვითარების კრედიტის სახსრები. პროექტის განაწილება სფეროების მიხედვით ნაჩვენებია დიაგრამაზე №5 და №6.

ფინანსური სექტორის ინფრასტრუქტურისათვის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საბოლოოდ გამოყოფილ იქნა 1,63 მლნ. აშშ დოლარი. აქედან ათვისებულ იქნა 1,62 მლნ. აშშ დოლარი (იხ. ცხრილი №1). საბოლოოდ ამ სექტორში შესრულებული კომპონენტებია:

- ეროვნული ბანკის საალრიცხვო სისტემა და აუდიტი;
- კომპიუტერული დაგეგმვა და საგადასახდო სისტემის შექმნა;
- აღჭურვილობა;
- სახელმწიფო კომერციული ბანკების დიაგნოსტიკური შესწავლა;
- აღჭურვილობა სახელმწიფო კომერციული ბანკებისათვის.


სახელმწიფო კომერციული ბანკების აუდიტი არ ჩატარდა, რადგანაც ჩაითვალა, რომ ამ მიზნით კრედიტის სახსრების გამოყენება საჭირო აღარ იყო.

საბაჟო დეპარტამენტს საერთაშორისო განვითარების ასოციაციამ საბოლოოდ გამოუყო 1,25 მლნ. აშშ დოლარი. ეს თანხა მთლიანად იქნა ათვისებული (იხ. ცხრილი №1).

საბაჟო დეპარტამენტისათვის დაიდო კონტრაქტი UNCTAD -თან ASYCUDA -ს დაფუძნების შესახებ და პგრ-ს მიერ შესყიდულ იქნა აღჭურვილობა საბაჟო დეპარტამენტისათვის. ASYCUDA არის პროგრამული სისტემა საბაჟო დეპარტამენტისათვის, რომელიც მიღებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და საქართველოში ერთიანი საბაჟო კომპიუტერულ საალრიცხვო სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

პროგრამული სისტემა ASYCUDA-მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც საინსტიტუციო განვითარების კრედიტით დაფინანსდა. ეს სისტემა დიდად

დიაგრამა №3



საშუალება შეიქმნა ახალი კომპონენტების დაფინანსებისა, რომლებიც უფრო აქტუალური იყო და ამ სახსრების გამოყენებაც შედარებით შედეგიანი იქნებოდა. ასეთი იყო 6 კომპონენტი საერთო ღირებულებით 1,35 მლნ. აშშ დოლარი, რომელიც გაუქმდა და დაფინანსდა 16 ახალი კომპონენტი საერთო ღირებულებით 2,17 მლნ. აშშ დოლარი. პროექტის შესრულება ძველი და ახალი კომპონენტების მიხედვით ნაჩვენებია დიაგრამაზე №2, ხოლო გათვალისწინებული, შესრულებული, გაუქმებული და ახალი კომპონენტები ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე №3 და №4.


პროექტის განხორციელების პროცესში საერთაშორისო განვითარების ასოციაციის წარმომადგენლები ყოველ ორ თვეში

ფინანსური სექტორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სახსრებიდან საბოლოოდ ათვისებულ იქნა 1,62 მლნ. აშშ დოლარი

ჩამოდიოდნენ შეამოწმებდნენ წინა ორი თვის

შეუნყოფს ხელს საქართველოს საბაჟო სისტემის ფუნქციონირებას. მთელი ქვეყნის მაშტაბით შექმნილი ქსელი ამარტივებს საბაჟო სისტემასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობას.

დიაგრამა №4



პრივატიზაცია და სანარმოთა რეფორმისათვის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საბოლოოდ გამოყოფილ იქნა 2,1 მლნ. აშშ დოლარი. აქედან ათვისებულ იქნა 2,01 მლნ. აშშ დოლარი (იხ. ცხრილი №1). საბოლოოდ პრივატიზაციისათვის შესრულდა შემდეგი კომპონენტები:

- მასობრივი პრივატიზაცია (მეორე ეტაპის ჩათვლით);
 - საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანია;
 - სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის იურიდიული მრჩეველი;
 - სანვრთნელი პროგრამები პრივატიზაციის სამინისტროსათვის;
 - აღჭურვილობა სახელმწიფო ქონების მართვისა და მრეწველობის სამინისტროსათვის;
 - საცდელი პრივატიზაცია;
- კომპონენტი რომელიც ითვალისწინებს პრივატიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში მთავარი მრჩეველი გაუქმებულ იქნა. ამ მიზნით გამოყოფილი იყო 50 000 აშშ დოლარი.

პრივატიზაციისა და სანარმოთა რეფორმისათვის საინსტიტუციო განვითარების კრედიტის ფარგლებში ათვისებულ იქნა 2,01 მლნ. აშშ დოლარი


ეკონომიკური სექტორისათვის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საბოლოოდ გამოყოფილ იქნა 3,78 მლნ. აშშ დოლარი. აქედან ათვისებულ იქნა 3,6 მლნ. აშშ დოლარი (იხ. ცხრილი №1). საბოლოოდ პრივატიზაციისათვის შესრულდა შემდეგი კომპონენტები:

- კავშირგამბულობის სამინისტროსთან ერთად პროექტის მომზადება;
- აღჭურვილობა დახმარების მართვის სააგენტოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, პარლამენტსა და ეკონომიკის

სამინისტროს;

- საოჯახო მეურნეობის გამოკვლევა;
- აღჭურვილობა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისათვის;
- სანვრთნელი პროგრამები სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისათვის;
- მრჩეველი შესყიდვებისა და გადარიცხვების დარგში (კონტრაქტის გაგრძელების ჩათვლით);
- ინფორმაციული სისტემების ექსპერტი;
- აღჭურვილობა პროექტის განმახორციელებელი რგოლისათვის;
- ექსპერტი უცხოური ვალების მომსახურებაში (პირველი ფაზა);
- ექსპერტი უცხოური ვალების მომსახურებაში (მეორე ფაზა);
- აღჭურვილობა საგადასახადო ინსპექციისათვის;
- აღჭურვილობა სახაზინო სისტემისათვის;
- აღჭურვილობა ფინანსთა სამინისტრო-

დიაგრამა №5



სათვის.

ხოლო წინასწარ დაგეგმილ კომპონენტებიდან გაუქმდა სამი კომპონენტი საერთო ღირებულებით 500 000 აშშ დოლარი. ესენია;

- მრჩეველი ცენტრალური ეკონომიკური მმართველობითი ორგანოების რეფორმაში;
- მრჩეველი დახმარების მართვის ბიუროს შექმნაში;
- ექსპერტი ეროვნული შემოსავლის გამოთვლაში;

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს საინსტიტუციო განვითარების კრედიტით დაფინანსდა ასევე აღჭურვილობა სახაზინო სისტემისათვის. ამ კომპონენტმა ძლიერ შეუნყო ხელი რეგიონალური ხაზინების ჩამოყალიბებას. ფაქტიურად ფინანსური დახმარება რეგიონალური ხაზინებისათვის გამოყოფილ იქნა საინსტიტუციო განვითარების კრედიტიდან. ეს იყო კიდევ ერთხელ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის აღიარება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ იმ კომპონენტების

მაგივრად, რომლებიც გაუქმდა, დაფინანსდა სხვა ახალი კომპონენტები. თუმცა ამ ახალი კომპონენტების ღირებულება მეტია გაუქმებული კომპონენტების ღირებულებაზე. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ თავიდან საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი სახსრები კომპონენტებზე იცვლებოდა და საბოლოო დაფინანსება ამიტომ სხვა თანხას წარმოადგენს.

ახალი კომპონენტებისათვის გამოყოფილი იქნა საბოლოოდ 2,32 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ათვისებული იქნა 2,17 მლნ. აშშ დოლარი. ახალი კომპონენტებია:


- საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპა-

ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის საინსტიტუციო განვითარების კრედიტის ფარგლებში გამოყენებულ იქნა 3,6 მლნ. აშშ დოლარი

ნია 2 (საეთერო დროის შესყიდვის კონტრაქტის ჩათვლით);

დიაგრამა №6

საინსტიტუციო განვითარების კრედიტის სფეროები



- სავაჭერო აუქციონების დაფინანსება;
- საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრის შექმნა;
- ვაუჩერების დარიგება;
- ვაუჩერების მიმღებთა სიების კომპიუტერული დამუშავება;
- პ.რ.გ.-ს ოპერატიული ხარჯები, ხელფასები;
- საპრივატიზაციო გამოფენა;
- სანავთობო მილსადენის შესწავლა;
- საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრის კონსულტანტი (II ფაზა);
- სემინარი კიევში მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებზე;
- ტექნიკური დახმარება საქართველოს სანავთობო კორპორაციას;
- ტექნიკური აღჭურვილობა სახელმწიფო კანცელარიისათვის საინსტიტუციო განვითარების პროექტის აუდიტი;

რების პროექტის აუდიტი;

- სარეაბილიტაციო კრედიტის აუდიტი;
 - ტრეინინგი საგარეო ვალების მომსახურებაში ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის;
 - მრჩეველი კომპიუტერების დარგში საქართველოს საინვესტიციო ცენტრს;
- საინტერესოა თუ რატომ არის პროექტის განმახორციელებელი რგოლის ხელფასები ახალ კომპონენტებში. ნუთუ თავიდან კრედიტის ფარგლებში არ იყო გათვალისწინებული პროექტის განმახორციელებელი რგოლის შენახვის ხარჯები.

საინსტიტუციო განვითარების პროექტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავისის შინაარსით პრივატიზაციის ხელშეწყობისათვის. ამ პროექტით დანაზოგი თანხებით დაფინანსდა ახალი კომპონენტები, რომელიც ჩაითვალა უფრო მნიშვნელოვნად.

მათი უმთავრესი ყურადღება გამახვილებული იყო ვაუჩერების დარიგებაზე.

ამ პროექტით დაფინანსებულია ვაუჩერების დარიგების ხელშეწყობისათვის შემდეგი კომპონენტები:

- სავაჭერო აუქციონების დაფინანსება;
- ვაუჩერების დარიგება;
- ვაუჩერების მიმღებთა სიების კომპიუტერული დამუშავება;

ამრიგად, საქართაქლოში მსოფლიო ბანკის კრედიტებზე ჩარჯვების შეფარდება საგრძობლად მაღალია საშუალო მსოფლიო მაჩვენებლებზე. ამასთან წარსულის კარგი მაჩვენებლის შედეგია, რომ საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილმა სახსრებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ნორმას.

მსოფლიო ბანკს შემუშავებული აქვს პროექტების შეფასების ორი სპეციალური მაჩვენებელი: განვითარების მიზნები; შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესი. ამ

პროექტის განხორციელების პროცესში გამოყენებული 6 კომპონენტი საერთო ღირებულებით 1,35 მლნ. აშშ დოლარი და დაფინანსდა 16 ახალი კომპონენტი საერთო ღირებულებით 2,17 მლნ. აშშ დოლარი.

მაჩვენებლებით შეფასების გამო საქართველო მოხვდა მაღალი რეესტრის სცენარში. რის გამოც 1999 ფისკალური წლის განმავლობაში განმავლობაში გაგრძელდება პირდაპირი დახმარების პროგრამა ხელისუფლების სტრუქტურული რეფორმის პროგრამის მხარდასაჭერად.

მომავალში მსოფლიო ბანკის დახმარებამ შესაძლოა ფართომასშტაბიანი დარგთაშორისი კრედიტის ფორმა მიიღოს.

საქართველოს მიერ მიღებული ყველა კრედიტი მსოფლიო ბანკის ჯგუფიდან გამოყოფილია საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სახსრებიდან და მომავალში დაბალი რეესტრის სტენარში მოხვედრა ნიშნავს, რომ საქართველო ვერ მოიპოვებს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის კრედიტებს. თუმცა საქართველო ჯერ-ჯერობით ამჟღავნებს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ გამოყოფილი სახსრების სათანადოდ ათვისების უნარს.

მსოფლიო ბანკი იქითკენ ისწრაფვის, რომ გაზარდოს მის მიერ დაფინანსებულ პროექტებში სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის წილი, რადგან პროექტის ეს ნაწილი გამოყენებულ იქნას გადასახადების გადასახდელად. გადასახადები მთავრობამ უნდა გადაიხადოს და არა საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრები მხოლოდ იმ მიზნებით უნდა იქნას ათვისებული, რომლებსთვისაც გაიცა კრედიტი.

შესყიდვებთან დაკავშირებით სამაგალითო შედეგები აჩვენებს საინსტიტუციო განვითარების კრედიტის, სგტდკ I და II, სახელმწიფო შესყიდვის ინსტიტუციონალური განვითარების ფონდის გრანტის პროექტების განმახორციელებელმა ჯგუფებმა.

ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ადგილობრივი ბანკების ნუსხა, სადაც შეიძლება გაიხსნას სპეციალური ანგარიშები მსოფლიო ბანკის კრედიტებთან დაკავშირებით.

1999 ფისკალური წლიდან დაწყებული, რევიზიები მსოფლიო ბანკის პროექტების განხორციელებაზე არა ადგილობრივმა ფირმებმა, არამედ საერთაშორისო დონეზე ცნობილმა სააღრიცხვო-სააუდიტო ფირმებმა უნდა ჩაატარონ, რადგან ქართული ფირმები არ არიან ცნობილი საერთაშორისო არენაზე.

საინსტიტუციო განვითარების პროექტის მიზანი იყო დახმარების განევა საქართველოს მთავრობისადმი ინსტიტუციონალური ბაზის ფორმირებაში, რომელიც მას საბაზრო

საინსტიტუციო განვითარების პროექტმა ხელი შეუწყო მაუჩარების დარიგებისა და პრივატიზაციის პროცესს.


ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ესაჭიროება.

საინსტიტუციო განვითარების პროექტში საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის პირველადი ღირებულება წარმოადგენდა 10,10 მლნ. აშშ დოლარს. სგა-ამ საბოლოოდ დააფინანსა 11,08 მლნ. აშშ დოლარი,

მაგრამ აქედან ათვისებულ იქნა მხოლოდ 10,65 მლნ. აშშ დოლარი ანუ საბოლოოდ გამოყოფილი თანხის 96,12% (იხ. დიაგრამა №7).

საინსტიტუციო განვითარების კრედიტი შედგებოდა ორი კატეგორიის კომპონენტებისაგან. ესენია: ტექნიკური დახმარება (საკონსულტაციო მომსახურება, ტრინინგები და

დიაგრამა №7



ა.შ.) და ტექნიკური აღჭურვილობა (საოფისე ტექნიკა). მათი წილობრივი განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №8.

ამ პროექტის განხორციელებისას საერთაშორისო განვითარების ასოციაციის დაფინანსებით შესრულდა 41 კომპონენტი საერთო ღირებულებით 10,63 მლნ. აშშ დოლარი.

დიაგრამა №8

საინსტიტუციო განვითარების კრედიტის განაწილება კატეგორიების მიხედვით



გათვალისწინებული იყო 31 კომპონენტი 10,1 მლნ. აშშ დოლარის ღირებულებით, მაგრამ პროექტის განხორციელების პროცესში გამოირკვა, რომ ზოგიერთი კომპონენტი აღარ იყო საჭირო ან ისეთი აქტუალური, როგორც პროექტის დაგეგმვის დროს. ასეთი

დანაზოგი სახსრებით საშუალება შეიქმნა ახალი კომპონენტების დაფინანსებისა, რომლებიც უფრო აქტუალური იყო და ამ სახსრების გამოყენებაც შედარებით შედეგიანი იქნებოდა. ასეთი იყო 6 კომპონენტი საერთო ღირებულებით 1,35 მლნ. აშშ დოლარი, რომელიც გაუქმდა და დაფინანსდა 16 ახალი კომპონენტი საერთო ღირებულებით 2,17

მლნ. აშშ დოლარი. პროექტის შესრულება ძველი და ახალი კომპონენტების მიხედვით ნაჩვენებია დიაგრამაზე №2, ხოლო გათვალისწინებული, შესრულებული, გაუქმებული და ახალი კომპონენტები ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე №3 და №4.

საინსტიტუციო განვითარების პროექტის სახსრები გამოყენებულ იქნა შემდეგი სფეროებისათვის (იხ. დიაგრამა №5 და №6):

✓ ფინანსური სექტორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება — 1,62 მლნ. აშშ დოლარი;

✓ საბაჟო დეპარტამენტისათვის — 1,25 მლნ. აშშ დოლარი;

✓ პრივატიზაცია და სანარმოთა

რეფორმისათვის — 2,01 მლნ. აშშ დოლარი;

✓ ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის — 3,6 მლნ. აშშ დოლარი.

საინსტიტუციო განვითარების კრედიტით შეიქმნა საქართველოში ერთიანი საბაჟო კომპიუტერულ სააღრიცხვო სისტემა ASYCUDA-ს პროგრამული ბაზით. ასევე საინსტიტუციო განვითარების პროექტმა ძლიერ შეწყო ხელი ვაუჩერების დარიგებისა და პრივატიზაციის პროცესს.

წყარო:

1. საინსტიტუციო განვითარების პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი.

2. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში.

საქართველოს საინსტიტუციო განვითარების პროექტი						
პროექტის ფინანსური სტატუსი						
პროექტი კატეგორია	პროექტის კომპონენტი	საერთაშორისო განვითარების ასოციაცია	ს. გ. ა -ს მიერ საბოლოო დაფინანსება	კონტრაქტის საბოლოო თანხა	გადარიცხული თანხა	შესყიდვების პროცედურის სტატუსი
ფინანსური სექტორის ინფრასტრუქტურა						
1	საადრიცხო სისტემა და აუდიტი (ეროვნული ბანკის)	375 000	372 445	372 445	372 445	შესრულდა
1	კომპიუტერული დაგეგმვა და საგადასახდო სისტემის შექმნა	330 000	330 000	330 000	330 000	შესრულდა
2	აღჭურვილობა	400 000	400 000	393 446,50	393 446,50	შესრულდა
1	სახელმწიფო კომერციული ბანკების დიაგნოსტიკური შესწავლა	350 000	373 480	362 975	362 975	შესრულდა
2	აღჭურვილობა სახელმწიფო კომერციული ბანკებისათვის	250 000	159 579,50	159 579,50	159 579,50	შესრულდა
1	სახელმწიფო კომერციული ბანკების აუდიტი	300 000	-----	-----	-----	გაუქმდა
სულ ფინანსური სექტორი		2 005 000	1 635 514,50	1 618 456	1 618 456	
საბაჟო დეპარტამენტი						
1	კონტრაქტი UNCTAD-თან ASYCUDA-ს დაფუძნების შესახებ	1 176 000	962 000	962 000	962 000	შესრულდა
2	აღჭურვილობა საბაჟო დეპარტამენტისათვის შესყიდული პგრ-ს მიერ	280 000	283 995,40	283 995,40	283 995,40	შესრულდა
სულ საბაჟო დეპარტამენტისათვის		1 456 000	1 245 995,40	1 245 995,40	1 245 995,40	
პრივატიზაცია და საწარმოთა რეფორმა						
1	მთავარი მრჩეველი პრივატიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში	50 000	-----	-----	-----	გაუქმდა
1	მასობრივი პრივატიზაცია (შეორე ეტაპის ჩათვლით)	750 000	1 330 490	1 278 596,50	1 278 596,50	შესრულდა
1	საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანია I	150 000	250 000	249 848	249 848	შესრულდა
1	სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის იურიდიული მრჩეველი	300 000	40 160	38 572	38 572	შესრულდა
1	საწვრთნელი პროგრამები პრივატიზაციის სამინისტროსათვის	100 000	74 650	42 870	42 870	შესრულდა
2	აღჭურვილობა სახელმწიფო ქონების მართვისა და მრეწველობის სამინისტროსათვის	390 419	403 323,83	403 323,83	403 323,83	შესრულდა
1	საცდელი პრივატიზაცია	500 000	-----	-----	-----	გაუქმდა
სულ პრივატიზაციისათვის		2 240 419	2 098 623,83	2 013 210,33	2 013 210,33	
ეკონომიკური მართვა						
1	მრჩეველი ცენტრალური ეკონომიკური მმართველობითი ორგანოების რეფორმაში	100 000	-----	-----	-----	გაუქმდა
1	მრჩეველი დახმარების მართვის ბიუროს შექმნაში	300 000	-----	-----	-----	გაუქმდა
1	კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად პროექტის მომზადება	450 000	495 000	459 581	459 581	შესრულდა

2	აღჭურვილობა დახმარების მართვის სააგენტოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, პარლამენტსა და ეკონომიკის სამინისტროს	245 000	324 224,65	324 224,65	324 224,65	შესრულდა
1	ექსპერტი ეროვნული შემოსავლის გამოთვლაში	100 000	----	----	-----	გაუქმდა
1	საოჯახო მეურნეობის გამოკვლევა	275 000	364 500	290 088,71	290 088,71	შესრულდა
2	აღჭურვილობა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისათვის	250 000	376 602,02	376 602,02	376 602,02	შესრულდა
1	საწვრივნი პროგრამები სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისათვის	200 000	8 250	8 250	8 250	შესრულდა
1	მრჩეველი შესყიდვებისა და გადარიცხვების დარგში (კონტრაქტის გაგრძელების ჩათვლით)	250 000	390 000	351 824,90	351 824,90	შესრულდა
1	ინფორმაციული სისტემების ექსპერტი	300 000	300 000	272 292,90	272 292,90	შესრულდა
2	აღჭურვილობა პ.გ.-სათვის	25 000	63 920,96	63 920,96	63 920,96	შესრულდა
1	ექსპერტი უცხოური ვალების მომსახურებაში (პირველი ფაზა)	100 000	100 000	99 970	99 970	შესრულდა
1	ექსპერტი უცხოური ვალების მომსახურებაში (მეორე ფაზა)	100 000	100 000	99 738	99 738	შესრულდა
2	აღჭურვილობა საგადასახადო ინსპექციისათვის	500 000	499 380,60	499 380,60	499 380,60	შესრულდა
2	აღჭურვილობა სახაზინო სისტემისათვის	500 000	500 073,64	499 975,64	499 975,64	შესრულდა
2	აღჭურვილობა ფინანსთა სამინისტროსათვის	70 000	255 841,58	255 841,58	255 841,58	შესრულდა
სულ ეკონომიკური სექტორისათვის		3 765 000	3 777 793,45	3 601 690,96	3 601 690,96	
პროექტის ახალი კომპონენტები						
1	საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანია 2 (საერთო დროის შესყიდვის კონტრაქტის ჩათვლით)		254 020	232 785	232 785	შესრულდა
1	სავაჭრო აუქციონების დაფინანსება		231 311	231 311	231 311	შესრულდა
1/2	საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრის შექმნა		502 000	415 849,24	415 849,24	შესრულდა
1	ვაჭრობის დარიცხვა		84 064	84 064	84 064	შესრულდა
1	ვაჭრობის მიმღებთა სიების კომპიუტერული დამუშავება		55 740	55 740	55 740	შესრულდა
3/1	პ.გ.-ს ობერატიული ხარჯები, ხელფასები		85 000	53 332	53 332	შესრულდა
1	საპროფაგოგო გამოფენა.		5 300	1 824	1 824	შესრულდა
1	სანავიბო მიღსადენის შესწავლა		155 802	155 802	155 802	შესრულდა
1	საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრის კონსულტანტი (II ფაზა)		136 550	136 550	136 550	შესრულდა
1	სემინარი კიევში მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებზე		10 780	10 780	10 780	შესრულდა
1/2	ტექნიკური დახმარება საქართველოს ხანავთბო კორპორაციას		150 765	150 765	150 765	შესრულდა
2	ტექნიკური აღჭურვილობა სახელმწიფო კანცელარიისათვის		585 095,78	585 000,78	585 000,78	შესრულდა
1	საინსტიტუციო მშენებლობის პროექტის აუდიტი		23 836,50	23 836,50	23 836,50	შესრულდა
1	სარეაბილიტაციო კრედიტის აუდიტი		5 500	5 500	5 500	შესრულდა
1	ტრენინგი საგარეო ვალების მომსახურებაში ფინანსთა სამინისტროს ანაბეზისებისათვის		30 320	25 112	25 112	შესრულდა
	მრჩეველი კომპიუტერების დარგში საქართველოს საინვესტიციო ცენტრს		3 000	3 000	3 000	შესრულდა
სულ ახალი კომპონენტებისათვის			2 319 084,28	2 171 251,52	2 171 251,52	
სულ პროექტისათვის		9 466 419	11 077 011,46	10 650 604,21	10 650 604,21	

სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანები

■ დავით ლომიძე

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში სახელმწიფო ბიუჯეტის სწორ ფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მყარი და ძლიერი ბიუჯეტის შექმნის საფუძვლად უნდა იქცეს ცივილიზებული საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის შემუშავება.

ნებისმიერი ბიუჯეტის რეალურობის ხარისხი კი სწორედ იმით განისაზღვრება თუ რამდენად არის გაანალიზებული მოცემული პერიოდის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ძვრები და რამდენად სწორი დასკვნები იქნება

გაკეთებული იმ ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობებისა და პერიოდის ფაქტიური შედეგებიდან, რომელიც წინ უსწრებს პროექტირებად საბიუჯეტო წელს.

საგადასახადო - საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად მიზნად მიმდინარე წელს და ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან განვლილი წინა სამი წლის მანძილზე, ისევე რჩება:

- ერთის მხრივ, საკუთარი სტაბილური საშემოსავლო, მათ შორის საგადასახადო, ბაზის შექმნა და გაფართოება;

- მეორეს მხრივ, საბიუჯეტო ხარჯების შეკავება, საბიუჯეტო სფეროს მოცულობის ოპტიმალურ ჩარჩოებში მოქცევა.

ბევრი ხარვეზია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვის საქმეში. კერძოდ, უხვად არის არაეფექტური და გაბერილი ხარჯების მოცულობა. ის იძლევა ისეთ შეხედულებას, რომ ჩვენ ტყუილად, შემოსავლების არასაკმარისად მობილიზაციის პირობებში, ვინახავთ არაეფექტურ მმართველს ორგანოებს.

საბიუჯეტო ხარჯების დასაფინანსებლად, სახსრების მწვავე დეფიციტის პირობებში, აღბილი აქვს საჭიროება მათი ოდენობით თანხების დაგეგმვის ფაქტებს

არსებობს არაეფექტური ხარჯების წარმოქმნის მრავალი ფაქტორი: დაუზუსტებლობა, კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა, არაობიექტური შემონმებები პოლიტიკურ და საბიუჯეტო პროცესებში და კორუფცია.

ასევე გადასამონმებელია, გამოყოფილი

საშტატო რიცხოვნობა და მისი სტრუქტურა, თუ რამდენად შეესაბამება სამინისტროს, უწყების ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას; უნდა აღმოიფხვრას, როგორც სამინისტროს შიგნით, ისე სამინისტროებს შორის ფუნქციების დუბლირება; განისაზღვროს თითოეული სამინისტროს ფუნქციების უზრუნველყოფის მატერიალური საშუალებების რაოდენობა (რამდენი ავტომანქანა, კომპიუტერი, ფაქსი, ტელეფონი და სხვა) სამინისტროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბიუჯეტური სახსრების ფაქტიური დეფიციტის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანების შექმნისა და შენახვის ხარჯების, რომელიც ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ასეთი ხარჯების დაგეგმვა საერთოდ არა კონტროლირებადია, არ არსებობს არავითარი მარეგულირებადი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავდა ახალი ავტომანქანის შექმნის საჭიროებას და მინიმალურ რაოდენობას. სამინისტროების ფუნქციების საერთო სურათიდან გამომდინარე ზოგიერთ მათგანს ჩემის აზრით საჭიროებენ ბევრი მანქანა ემსახურება და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში ასეთი საშუალებების შენახვის ხარჯები ძალიან გაზრდილია.

ამ მხრივ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ საკანონმდებლო და ზოგიერთი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს:

1. საქართველოს პარლამენტი

პარლამენტს ემსახურება 118 ავტომანქანა - ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ხოლო პარლამენტის მონაცემებით 107, საიდანაც 100 არის მსუბუქი ავტომანქანა. ასეთი უზუსტობა განაპირობებს ხარჯების კიდევ უფრო გაბერვას და სახსრების გაფლანგვის შესაძლებლობებს.

ისმის კითხვა საჭიროა თუ არა ამდენი ავტომანქანების შექმნა და შენახვა? თუ გადავხედავთ ვის ემსახურება ეს მსუბუქი

ავტომანქანები (იხ. ცხრილი №1), დავინახავთ რომ ამ ეტაპზე 100 ავტომანქანის არსებობა არა მიზანშეწონილია პარლამენტის ფუნქციონალური დატვირთვისა და ბიუჯეტური სახსრების დაბალი მობილიზაციის პირობებში.

ჩემის აზრით, პარლამენტში მსუბუქი ავტომანქანა უნდა ემსახურებოდეს: პარლამენტის თავჯდომარესა და მის მოადგილეებს, კომიტეტების თავჯდომარეებს, კომისიის თავჯდომარეებს, პარლამენტის აპარატის უფროსს, დეპარტამენტების უფროსებს და პარლამენტის თავჯდომარის დაცვას. სრულიად არ არის საჭირო დასახელმწიფო ბიუჯეტიც ამ ეტაპზე (გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების პირობებში) არიძლევა იმის საშუალებას, რომ მანქანები ემსახურებოდეს ფრაქციების თავჯდომარეებს, მმართველ პარტიებსა და პარლამენტის ზოგიერწევრს.

რაც შეეხება ავტომანქანების შეძენის ხარჯებს (იხ. ცხრილი №2) - პარლამენტის აპარატის მიერ 1997 წელს გაღებულია 750 000 ლარი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ხარჯებს (ავტობაზის შენახვა) - 1646 741 ლარი.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის მანქანა-დანადგარების შეძენის ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირებულია და გათვალისწინებულია 235 000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება დანარჩენ ხარჯებს (ავტობაზის შენახვა) - 800 000 ლარი. მიმდინარე წლის 6 თვეში მართო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებმა მიაღწია თითქმის 600 000 ლარს და ამით გეგმაზე მეტი იქნა დახარჯული.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური

მიმდინარე წელს პრეზიდენტის 1997 წლის 29 დეკემბრის № 773 ბრძანებულებით სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს დაევალა სახელმწიფო კანცელარიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სახელმწიფო კანცელარიის ბალანსზე არსებული საავტომობილო საშუალებებისა და სხვადასხვა ობიექტების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის ღონისძიებების დაფინანსება. სამსახურის ბალანსზე რიცხული 161 ავტომანქანის მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციისათვის (მათ შორის სახელმწიფო კანცელარიის მომსახურე 60 ავტოტრანსპორტი) 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია გამოიყოს 1 837,9 ათასი ლარი. ხოლო 1998 წელს სახელმწიფო კანცელარიის ავტოტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციისათვის გამოყოფილია 600 000 ლარი (იხ. ცხრილი №2).

ეს ზრდის ტენდენცია ყოველად მიუღებელია მიმდინარე ეტაპზე და მიუთითებს ხარჯების არარაციონალურად და არამიზანშეწონილ დაგეგმვას.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს 1997 წლის ბიუჯეტის კანონით სატრანსპორტო ხარჯები გათვალისწინებული იყო 173 700 ლარი (იხ. ცხრილი №2), რომელიც გეგმის შესაბამისად ათვისებული იქნა მთლიანად. ეს ერთ-ერთი იმათგანია, რომლის ეს ხარჯვის კატეგორია შესრულდა მთლიანად საბიუჯეტო სახსრების დეფიციტის პირობებში, რაც ძალიან დამაფიქრებელია. 1998 წელს კანონით იგივე ხარჯში გათვალისწინებულია 207 300 ლარი. ტექნიკისა და მოწყობილობების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაციისათვის 1999 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 300 ათასი ლარი. ზრდის ტენდენცია განსაზღვრულია ახალი ავტომანქანების შეძენით, რომელიც რეალურად დღევანდელ ეტაპზე საჭირო არ არის.

რაც შეეხება ავტომანქანების შეძენის ხარჯებს იგი ბიუჯეტის კანონით ცალკე დამტკიცებული არ არის, ეს ხარჯები ბიუჯეტის კანონში გათვალისწინებულია სამინისტრო-სათვის ორგტექნიკის მანქანა-დანადგარების და ინვეტარის შეძენის ხარჯებში, რომელიც 1997 წელს ბიუჯეტის კანონით შეადგენდა 600 000 ლარს, ხოლო 1998 წელს დაგეგმილია 389 800 ლარის დონეზე.

ფინანსთა სამინისტროს გააჩნია საკუთარი ავტოფარეხი 26 ერთეული მსუბუქი ავტომანქანით (იხ. ცხრილი №1). აქედან 17 ერთეული ავტომანქანა ემსახურება ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს. ჩემის აზრით, აპარატზე მომსახურე ავტომანქანების რაოდენობა შესამცირებელია ათამდე. ეს პირველ რიგში უნდა დაინყოს ცენტრალური აპარატის შტატის შემცირებით, რაც მმართველის სრულყოფისა და ხარჯების ეკონომიას მოგვცემს.

4. საქართველოს საგადასახადო ინსპექცია

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები დაგეგმილი არის 157 ათასი ლარის დონეზე (იხ. ცხრილი №2).

ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვისა და ექსპლოატაციისათვის 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 397,6 ათასი ლარი. ეს მაჩვენებელი 2,5-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

მათ ერიცხებათ 115 ავტომანქანა, საიდანაც უმეტესობა მოძველებულია და საერთოდ ავტობაზა გასანახლებელია გამომდინარე მათი როლითა და მნიშვნელობით, რომელიც მათ ენიჭებათ თანამედროვე ეტაპზე შემოსავლების მობილიზაციის საქმეში.

5. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო

1997 წელს ავტომანქანების შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ყოფილა თანხა გამოყოფილი, ხოლო ექსპლუატაციაში მყოფი

მანქანების შესანახად - სანავის შექმნისათვის და მათი კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის ბიუჯეტიდან დახარჯულია 14 773 ლარი (იხ. ცხრილი №2). ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 581 ლარისა, რაც განპირობებულია ხაზინაში სახსრების უქონლობით.

არც 1998 წელს არ ყოფილა ავტომანქანების შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული რაიმე თანხა. ხოლო ავტომანქანებისათვის სანავის შესაძენად და სხვა ხარჯებისათვის 1998 წლის 6 თვეში ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ათვისებულია 5 282 ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 345 ლარისა.

სამინისტროს ემსახურება 5 მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1)

6. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო

სამინისტროს 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომანქანების მომსახურებაზე გამოეყო 25 200 ლარი (იხ. ცხრილი №2), რომელსაც ემსახურება 16 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1). ხოლო 1998 წლისათვის 17 700 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები 1997 წელს დაფინანსებული იქნა 83,2%-ით და შეადგინა 20 966 ლარი, ხოლო მიმდინარე წლის ხარჯები სექტემბრის თვის მდგომარეობით დაფინანსებულია მხოლოდ 42%-ით (7 434 ლარი).

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საბიუჯეტო სახსრებიდან 1997 წელს ავტომანქანების შესაძენად დაგეგმილი იყო 15 000 ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 8 748 ლარი (იხ. ცხრილი №2). ტექნიკის შესანახად დაგეგმილი იყო 8 000 ლარი და დაიხარჯა 2 085 ლარი.

იუსტიციის სამინისტროს გააჩნია ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით - 7 ერთეული ავტომანქანა, ხოლო იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით - 10 ავტომანქანა, საიდანაც 8 არის მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1), ხოლო ერთი „რაფი 220301“ გაცემულია იჯარით. გაუგებარია ასეთი უზუსტობარისთვის სჭირდება ან ერთ ან მეორე სამინისტროს.

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომანქანების შესაძენად დაგეგმილია 28 000 ლარი, ტექნიკის შესანახად კი დაგეგმილია 7 000 ლარი.

ამ ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციისათვის ასევე სამინისტროს სხვა ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაციისათვის 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 42 ათასი ლარის გამოყოფა. ასეთი ზრდა განპირობებულია სამინისტროსათვის ახალი

ავტომანქანების შექმნით, რომელიც დღევანდელ ეტაპზე ყოველად მიუღებელია.

8. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

1997 წლის შედეგების მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ტრანსპორტის შექმნასა და ტექნიკური შენახვის ხარჯებისათვის გამოყოფილი იყო 5 780 ლარი, აქედან დახარჯულია - 3 624 ლარი (იხ. ცხრილი №2). ხოლო 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ზემოთ აღნიშნულ მუხლში გეგმით გათვალისწინებულია 5 600 ლარი.

1999 წლის ბიუჯეტის პროექტში ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვა-ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებულია 10 ათასი ლარი.

რაც შეეხება ავტომანქანების შექმნის ხარჯებს, ასეთ ფაქტს 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილი არ ჰქონია და არც 1998 წლის ბიუჯეტით არის დაგეგმილი. იხ. სამინისტროს ემსახურება 6 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1).

9. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად ძირითადი კაპიტალის შექმნაზე გამოყოფილი იყო 20 000 ლარი, ხოლო ტექნიკის შესანახად 71 500 ლარი. შესაბამის პერიოდში სამინისტროს მიერ შექმნილი იქნა ერთი ავტომანქანა და მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობამ შეადგინა 29 ერთეული (იხ. ცხრილი №1), 10 000 ლარის ღირებულების და ტექნიკის შესანახად დახარჯული იქნა 51 300 ლარი (იხ. ცხრილი №2).

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად ძირითადი კაპიტალის შექმნაზე დაგეგმილია 26 200 ლარი, ხოლო ტექნიკის შენახვაზე 55 300 ლარი. ამ ხარჯების ზრდა განპირობდა ახალი ავტომანქანის შექმნით გამოწვეულმა და მათ შენახვაზე დამატებითმა ხარჯებმა.

რაც შეეხება წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტს, მათ ბალანსზე ერიცხებათ 8 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. ისინი შექმნილი იქნა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არასაბიუჯეტო შემოსავლებით საკუთარ განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე და ბუნებრივია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა, როგორც შექმნაზე ისე მომსახურებაზე არ განეულა.

10. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო

1997 წელს ავტომანქანების შესაძენად ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო

ბიუჯეტიდან თანხები არ გამოყოფილა, ხოლო ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციისათვის დაგეგმილი იყო 6 000 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 4 610 ლარი (იხ. ცხრილი №2).

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომანქანების შესაძენად თანხა არ ყოფილა გამოყოფილი და სამინისტროს ემსახურებოდა 5 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1), ხოლო შენახვისა და ექსპლოატაციისათვის 6 000 ლარი არის დაგეგმილი. 6 თვის საკასო ხარჯმა შეადგინა 982 ლარი, ხოლო ფაქტიური ხარჯი შეადგენს შარშანდელი დავალიანების ჩათვლით 10 185 ლარს. საშუალოდ თვის განმავლობაში ერთი მანქანის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯი დაახლოებით შეადგენს 689 ლარს, წელიწადში - 8 268 ლარს.

11. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ავტომანქანები სამინისტროს ბალანსზე არ ერიცხება. მას ავტოსატრანსპორტო მომსახურებას უწევს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სახაზინო სანარმო „ავტოტრანსი“ სახელშეკრულებო საწყისებზე (არ არის ცნობილი თუ რა საქმიანობას ეწევა სახაზინო სანარმო და რა სახის სატრანსპორტო საშუალებები გააჩნია მას). საინტერესოა როგორია ხელშეკრულება, რომელიც კორუფციის პირობებს ქმნის, სანამ არ ამოქმედდება

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

1997 წელში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომომსახურებაზე გამოყოფილი იყო 57 600 ლარი. ფაქტიურად დახარჯული იქნა 176 100 ლარი (იხ. ცხრილი №2).

მათ შორის 118 500 ლარი სპეციალური სახსრებიდან.

1998 წელში ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 213 000 ლარი, აქედან ფაქტიური ხარჯი 6 თვეში შეადგენს 129 978 ლარს.

12. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრო

1997 წელს მანქანების შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა არ გამოყოფილა, ტექნიკაზე კერძოდ კი რემონტზე დაიხარჯა 2,5 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №2). ხოლო 1998 წელს სახელმწიფო

ბიუჯეტიდან მანქანების რემონტზე დაიხარჯა 1,5 ათასი ლარი. მათ ბალანსზე ერიცხებათ ერთი მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1)

1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები გაიზარდა 15 ათასი ლარით, რაც ითვალისწინებს ახალი მსუბუქი ავტომანქანების შენახვას და განისაზღვრა 22 ათასი ლარის დონეზე.

13. საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტრო

სამინისტროს ბალანსზე ერიცხება სამი ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1). ავტომანქანები შეძენილია 1996 წელს ყოფილი სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციისათვის (რომლის ბაზაზეც შეიქმნა სათბობენერგეტიკის სამინისტრო) მისი დაქვემდებარებული სანარმოს - ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ, და არა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

1997 წელს სამინისტროსათვის ტრანსპორტისა და ტექნიკის შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 3 000 ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 1 750 ლარი (იხ. ცხრილი №2). 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი ტრანსპორტისა და ტექნიკის შესანახად გამოყოფილია 10 000 ლარი, აქედან ექვს თვეში დახარჯულია 1 150 ლარი.

სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანების შესახებ ინფორმაცია არ მოგვანოდა: კონტროლის პალატამ, ეკონომიკის სამინისტრომ, კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, ტრანსპორტის სამინისტრომ, საგანგებო დანიშნულების სამინისტრომ, საგარეო ურთიერთობების სამინისტრომ, სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოებმა, რომელთა მომსახურე ავტომანქანებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი მოცულობის ხარჯები ფინანსირდება

14. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

1997 წელს ავტოტრანსპორტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეძენის ხარჯები არ იყო დაგეგმილი და მათ ბალანსზე ერიცხებოდათ 4 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1), ხოლო ტექნიკის შესანახად განეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,8 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №2).

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტოპარკის განახლებისათვის გათვალისწინებულია 150 ათასი ლარი, (საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, თუ რისთვის სჭირდება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ეს თანხა ავტოპარკის განახლებისათვის) მაგრამ ამ პერიოდში ფაქტიურად ხარჯები არ განეულა, ხოლო ავტოტრანსპორტის შესანახად განეულმა ხარჯებმა შეადგინა 17 ათასი ლარი.

1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ავტოპარკის განახლებისათვის 100 ათასი ლარი, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, შემოსავლების არასრულყოფილი მობილიზაციის პირობებში.

15. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი

დღესდღეობით დეპარტამენტში ირიცხება 3 მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1). 1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომანქანების შეძენასა და ტექნიკის შენახვაზე დაგეგმილი იყო 19 000 ლარი (იხ. ცხრილი №2). მათ შორის შეძენაზე 15 000 ლარი და შენახვაზე 4 000 ლარი.

1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 17 600 ლარი. აქედან 14 900 ლარი შეძენაზე და 2 700 ლარი შენახვაზე.

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაგეგმილი იყო მხოლოდ შენახვის ხარჯები 9 000 ლარის ოდენობით, საიდანაც 9 თვეში ფინანსთა სამინ. ატროს მიერ დაშვებული იქნა ლიმიტი 3 850 ლარი ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 3 815 ლარი.

თუ ჩვენ გვინდა ხალხში დავწეროთ ცივილიზებული საგადაგდლო კულტურა, ამისათვის ჩვენ უნდა შევთავაზოთ ცივილიზებული ბიუჯეტი, რათა ხალხმა იბრძნოს სახელმწიფო, რომორც მათი უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის გარანტი

16. საქართველოს დაცული ტერიტორიები, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი

1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომანქანის შესანახად დაგეგმილი იყო 2 619 ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 1 934 ლარი (იხ. ცხრილი №2). ხოლო ამ მიზნით 1998 წელს

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 2 200 ლარი.

რაც შეეხება ავტომანქანებს, საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს ბალანსზე ერიცხება 1 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა.

17. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი

დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 1 მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც ემსახურება დეპარტამენტის თავჯდომარეს (იხ. ცხრილი №1).

1997 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დეპარტამენტის ავტომანქანის შესაძენად თანხა გამოყოფილი არ ყოფილა, რაც შეეხება ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს გასულ წელს დაგეგმილი იყო 7 600 ლარი, ხოლო ფაქტიურად ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოიყო 5 960 ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა წლის ბოლოს შეადგინა 3 053 ლარი (იხ. ცხრილი №2). აუთვისებლობა გამოწვეულია ხაზინაში თანხის უქონლობის გამო.

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტომანქანების შესაძენად და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვისათვის დაგეგმილია 50 000 ლარი. ბიუჯეტის ხარჯებში, არასრულყოფილი კლასიფიკაციის პირობებში საზოგადოებისათვის განუსაზღვრელია, თუ სად უნდა დაიხარჯოს ეს თანხა.

18. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1997 წლისათვის დეპარტამენტის ავტოტრანსპორტის შესაძენად და შესანახად დაგეგმილი იყო 961 000 ლარი, ფაქტიურად კი დაიხარჯა 189 916 ლარი. ხოლო 1998 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტით იგივე სახის ხარჯი დაგეგმილია 828 200 ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). ასეთი მოცულობის ხარჯების დაგეგმა მოითხოვს, საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაანალიზებასა და საჭიროების ახსნას, თუ რამდენად აუცილებელია ამ ხარჯების გაწევა, რასაც მთავრობის მხრიდან ჩვენ ვერ ვხედავთ.

დღესდღეობით დეპარტამენტს ბალანსზე

ერიცხება 16 მსუბუქი ავტომანქანა (იხ. ცხრილი №1).

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სხვა აღმასრულებელმა ორგანოებმა არ მოგვანოდეს ინფორმაცია (გარდა ძალ-ვანი სტრუქტურებისა - თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე), რაც პირველ რიგში იქ არსებული ორგანიზაციული სისტემის უსუსურობით აიხსნება და ასევე მათ ბალანსზე არსებული მსუბუქი ავტომანქანების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის დამალვით. ეს განაპირობებს საერთოდ უნდობლობის ფაქტორს მოსახლეობის მხრიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი აქვს „სხვა ხარჯებს“ და წლების მანძილზე ზრდის ტენდენციას განიცდის. საერთო ხარჯებში ასეთი დიდი ხვედრითი წილის მქონე „სხვა ხარჯების“ არსებობა, რომელიც გადამხდელისათვის უცნობია, თუ სად და რაზე იხარჯება - უხეშად არღვევს ბიუჯეტის აგების პრინციპებს. თუ ასეთი ხარჯი მართლაც არსებობს, რომელიც ვერ ჯდება ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ხარჯების კლასიფიკაციაში, ამიტომ აუცილებელია უფრო დანვრილებითი კლასიფიკაცია - რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერმა გადამხდელმა იცოდეს თუ სად მიდის მის მიერ გადახდილი თანხა.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების რაციონალურ განევას. პირველ რიგში უნდა შესრულდეს ბიუჯეტის დაცული მუხლები და ძირითადი პრიორიტეტები, (რომლებიც განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტის მილებისას) და შემდეგ შემოსავლების შესაბამისად სხვა დანარჩენი ხარჯები - პროპორციულად.

არაეფექტური მართვის სისტემისა და შესაბამისად მათზე საჭირო არაეფექტური ხარჯების აღმოფქვრისათვის (მაგ. სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანების ხარჯები) შეიძლება გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მომსახურე პერსონალის უზარმაზარი რაოდენობის გაუქმება და მათ ხარჯზე ხელფასების გაზრდა, რომელიც მთავარი

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების არ გამოვლენის ფაქტებს, რაც აღრმავებს და ამკაფრავს ურთიერთობას ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ეს ყოველივე ძმის განხეთქილებისა და კორუფციის წინაპირობავს. აღნიშნული პირველყოვლისა ხელს უშლის რეფორმების განხორციელების შედეგომ ეტაპს

მასტიმულირებელი იარაღი იქნება მმართველი სისტემის რეფორმისათვის. ამისათვის მოკლე დროში უნდა მოხდეს ყველა საბიუჯეტო ერთეულის ხელფასების მუხლის ბიუჯეტის შესრულების შემოწმება.

2. არაეფექტურ სტრუქტურებზე ოპერატიული ხარჯვის შემოწმება. ამისათვის უნდა განისაზღვროს არაეფექტური ინფრასტრუქტურა.

3. ხარჯების ადეკვატური სტრუქტურის განხორციელება. ამისათვის საჭიროა საქართველოს ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა შევადაროთ განვითარების იგივე დონეზე მყოფ ქვეყნის ბიუჯეტს.

4. ხარჯების ეფექტურობის გაუმჯობესება. ამისათვის აუცილებელია: საბიუჯეტო პროცესში შემოწმებების ჩატარება, ხარჯებზე კონტროლის დანესება და მონიტორინგი, ხარჯის სარგებლიანობის ანალიზის გამოყენება.

სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის

სახელმწიფო ხარჯვის (მათ შორის მსუბუქ ავტომანქანაზე) მსო-ლოდ ტენდერის შედეგად უნდა ხდებოდეს

გაზრდა მოგვცემს საგრძნობ შედეგებს საბიუჯეტო დანახოგების დონეებთან მიმართებაში და მოიტანს მეტ სარგებლობას. სიძნელებისა და მიუხედავად მთავრობას შეუძლია გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ უკანასკნელთან მიმართებაში.

თუ საქართველოში მდგრადი განვითარების მდგომარეობას განვიხილავთ, აღმოჩნდება ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც წითელი ძაფივით გასდევს ერთმანეთს: სამთავრობო მართვის

სისტემა და მოსახლეობის ფსიქოლოგია და ქცევა. (ისინი აბრკოლებენ რეფორმათა სრულ დანერგვას და მათ ამუშავებას).

საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტში გათვალისწინებული სახელმწიფო დაკვეთების განთავსება. კერძოდ, გარდამავალი დებულების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით „საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან პროდუქციის შექმნის, მომსახურებისა და სამუშაოების წარმოებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 10 000 ლარს, უნდა განხორციელდეს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გამოცხადებული და ჩატარებული ტენდერის

საფუძველზე“. ეს მსოფლიოში გავრცელებული და ძალიან ეფექტური მეთოდია, რომელიც შეამცირებს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელეებისაგან ბიუჯეტის ხარჯების გაფლანგვის ფაქტებს.

სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანების ხარჯების სწორი და მიზნობრივი ხარჯვის რეგულირების ერთ-ერთ საშუალებას სახელმწიფო დაკვეთების სისტემის ამოქმედება წარმოადგენს, რომლის მთავარ ინსტრუმენტად ტენდერი გვევლინება. იგი სახელმწიფო სახსრების რაციონალურ, ეფექტურ და მიზნობრივ ხარჯვაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლევა და შეამცირებს ასეთი ხარჯების განწევსას წარმოქმნილ კორუფციას.

მსუბუქი ავტომაანქანები

№	ავტომაქანის მარკა	ვის ემსახურება ავტომაქანა
საქართველოს პარლამენტი		
1	გაზ. 310129	პარლამენტის თავმჯდომარის ოჯახი
2	„შევროლე ლუმინა“	პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ე. შენგელაია
3	„-----“	პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - გ. კობახიძე
4	„-----“	პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ე. სურმანიძე
5	„-----“	პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ვ. ყოლბაია
6	„შევროლე კავალიერი“	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე - ზ. სიორიძე
7	„-----“	ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე - მ. წიკლაური
8	„-----“	დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე - ზ. ცქიტიშვილი
9	„-----“	თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე - რ. ადამია
10	„-----“	საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე - ნ. ბურჯანაძე
11	„-----“	საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე - კ. ჩიტაია
12	„-----“	აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - რ. ლორთქიფანიძე
13	„-----“	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დ. აბაშიძე
14	„-----“	განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - ნ. ამაღლობელი
15	„-----“	ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - კ. კოკოვეი
16	„-----“	თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე - თ. ბოლქვაძე
17	„-----“	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე - გ. გიგინეიშვილი
18	„-----“	მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემალულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე - გ. შარაძე

19	„-----“	საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე - რ. დოლიძე
20	„-----“	უმრავლესობის ლიდერი - ლ. ლოლობერიძე
21	„-----“	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე - მ. სააკაშვილი
22	„-----“	ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარე - ზ. ახმეტელი
23	„-----“	ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე - გ. ფაცაცია
24	„-----“	ფრაქცია „ედჰ“ თავმჯდომარე - ი. სარიშვილი
25	გაზ. 31029	ფრაქცია „მამულის“ თავმჯდომარე - ვ. შამილაძე
26	„შევროლე კავალიერი“	ფრაქცია „ლეიბორისტის“ თავმჯდომარე - შ. ნათელაშვილი
27	„-----“	„მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი - მ. მაჭავარიანი
28	გაზ. 31029	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე - ე. თევდორაძე
29	„-----“	ფრაქცია „იმედის“ მოადგილე - გ. ნოზაძე
30	„შევროლე კავალიერი“	პარლამენტის აპარატის უფროსი - ხ. გოგორიშვილი
31	გაზ. 31029	სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი - ა. სიღამონიძე
32	ვაზ. 2107	საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - ზ. კანდელაკი
33	გაზ. 31029	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“
34	„შევროლე კავალიერი“	საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე - მ. ოსაძე
35	„შევროლე კავალიერი“	ფრაქცია „მაჟორიტარი-სოციალისტის“ თავმჯდომარე - ი. ჩიხრაძე
36	გაზ. 24	იურიდიული დეპარტამენტის განყოფილების გამგე ლ. ნიკურაძე
37	გაზ. 31029	საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - ნ. ბურჯანაძე
38	„-----“	პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოს უფროსი ქ. უფენტი
39	„-----“	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“
40	„-----“	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - კ. ბარქაია
41	გაზ. 31029	ცხინვალის საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე - გ. ლახარაშვილი

42	„ნივა“	კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის დროებითი კომისიის თავმჯდომარე - მ. არეშიძე
43	„შვეროლე კავალიერი“	ფრაქცია „სახალხო-პარტიის“ თავმჯდომარე - მ. გიორგაძე
44	გაზ. 31029	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე - გ. ლორთქიფანიძე
45	„-----“	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - თ. კოპალეიშვილი
46	გაზ. 2105	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - მ. ჯობუტი
47	გაზ. 31029	ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - თ. აქუბარდია
48	გაზ. 2105	დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - ბ. ჯუღელი
49	გაზ. 31029	დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - ი. ხარატიშვილი
50	გაზ. 2105	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“
51	„-----“	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე - ვ. ხაზარაძე
52	„-----“	საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. შარმანაშვილი
53	გაზ. 31029	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“
54	გაზ. 2105	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“
55	გაზ. 31029	აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - ხ. მამალაძე
56	„შვეროლე კავალიერი“	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ნ. ჭყელიძე
57	გაზ. 2105	ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“
58	„-----“	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი
59	გაზ. 31029	ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - ლ. მინდელი
60	„-----“	თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ჩეკურიშვილი

61	„-----“	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. განჩილაძე
62	„-----“	მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. ონიანი
63	ვაზ. 2105	კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. კვაჭანტირაძე
64	„-----“	კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. გეგენავა
65	„-----“	პრესსამსახურის უფროსი ს. მელაძე
66	„-----“	საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი ი. იმერლიშვილი
67	„-----“	საგამომცემლო სამსახურის უფროსი მ. ფახუაშვილი
68	„-----“	უმრავლესობის მდივანი ბ. გუნავა
69	„-----“	კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. საყვარელიძე
70	„შევროლე კავალიერი“	პარლამენტის თავმჯდომარის დაცვა
71	„-----“	პარლამენტის თავმჯდომარის დაცვა
72	„-----“	პარლამენტის თავმჯდომარის დაცვა
73	გაზ. 31029	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯაყელი
74	„ნივა“	პარლამენტის თავმჯდომარის დაცვა
75	„ნივა“	საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ი. გოგავა
76	ვაზ. 2107	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ს. მარაქველიძე
77	ვაზ. 2105	თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პატარიძე
78	„შევროლე კავალიერი“	ფრაქცია „აღორძინების“ თავმჯდომარე ვ. გოგიტიძე
79	ვაზ. 2105	აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. შავთვალაძე
80	„-----“	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე
81	„-----“	კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ჯიქია
82	გაზ. 31029	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ვ. ქარსელაძე
83	გაზ. 31029	პარლამენტის თავმჯდომარის დაცვა
84	ვაზ. 2105	კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. მარაქველიძე
85	„-----“	კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გოგინიაშვილი
86	„-----“	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. ჯაფარიძე

87	„-----“	ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ი. ხუციშვილი
88	„-----“	თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხუხუნაიშვილი
89	„-----“	ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გოქაძე
90	„-----“	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ტალახაძე
91	„შევროლე კავალიერი“	საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ასკლედიანი
92	გაზ. 31029	პარლამენტის წევრი ვ. გოგუაძე
93	ვაზ. 2105	პარლამენტის თავმჯდომარის დაცვა
94	გაზ. 31029	მორიგე
95	„-----“	მორიგე
96	„-----“	მორიგე
97	„შევროლე“	სასტუმრო
98	„-----“	სასტუმრო
99	გაზ. 31029	მორიგე
100	„-----“	მორიგე
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		
1	„კია კლარუსი“	მინისტრი
2	„პაჯერო“	სპეც. დანიშნულების
3	„კაბილაკი“	სასტუმრო
4	გაზ. 3110	ცენტრალური აპარატი
5	გაზ. 31029	ცენტრალური აპარატი
6	გაზ. 31029	ცენტრალური აპარატი
7	„კია კლარუსი“	ცენტრალური აპარატი
8	გაზ. 3110	ცენტრალური აპარატი
9	„კია კლარუსი“	ცენტრალური აპარატი
10	გაზ. 3102	ცენტრალური აპარატი
11	„ჰუნდაი“	ცენტრალური აპარატი
12	რენო 19	ცენტრალური აპარატი
13	გაზ. 31029	ცენტრალური აპარატი
14	ვაზ. 21093	ცენტრალური აპარატი
15	გაზ. 31029	ცენტრალური აპარატი
16	გაზ. 2410	ცენტრალური აპარატი
17	ვაზ. 21093	ცენტრალური აპარატი
18	ვაზ. 2107	ცენტრალური აპარატი
19	ვაზ. 2105	ცენტრალური აპარატი
20	გაზ. 3102	ცენტრალური აპარატი
21	ვაზ. 2121	გაზ. „ფინანსებს“ (ხელშეკრულებით)

22	გაზ. 21093	„სახაზინო საწარმოს“ (ხელშეკრულებით)
23	გაზ. 21093	ავტოფარეხი
24	ოე 2715	სამეურნეო
25	გაზ. 3102	სამეურნეო
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო		
1	გაზ. 31029	მინისტრი
2	გაზ. 31029	მინისტრის I მოადგილე
3	გაზ. 31029	მოადგილე
4	გაზ. 31029	მოადგილე
5	გაზ. 31029	პურპროდუქტებისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსი
6	„მერსედესი“	მეცნიერული უზრუნველყოფისა და ბუნებათსარგებლობის დეპარტამენტის უფროსი
7	გაზ. 31029	აგრარული რეფორმების დეპარტამენტის უფროსი
8	გაზ. 2410	სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის უფროსი
9	გაზ. 31029	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
10	გაზ. 31029	აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციის სექტორის უფროსი
11	გაზ. 210093	სახაზინო საწარმო „სერვისის“ უფროსი
12	გაზ. 21099	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი
13	BMW 735	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
14	გაზ. 31029	კვების მრეწველობის დეპარტამენტის უფროსი
15	გაზ. 21213	ავტოფარეხი
16	გაზ. 21213	ავტოფარეხი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		
1	„ფოლკსვაგენი“	მინისტრი
2	გაზ. 3102	მინისტრის I მოადგილე
3	გაზ. 3102	მინისტრის მოადგილე
4	გაზ. 3110	მინისტრის მოადგილე
5	გაზ. 31029	პერსონალის დეპარტამენტი
6	გაზ. 31093	საქმეთა მართვის დეპარტამენტი
7	გაზ. 31029	სარეზერვო
8	გაზ. 3102	სარეზერვო
საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო		
1	„შვეროლე ლუმინა“	მინისტრი
2	გაზ. 21099	მინისტრის მოადგილე
3	გაზ. 2107	მინისტრის მოადგილე

4	ვაზ. 2107	მინისტრის მოადგილე
5	ვაზ. 2107	მინისტრის მოადგილე
6	ვაზ. 2121	სამინისტროს
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო		
1	ვაზ. 31029	მინისტრი
2	ვაზ. 31029	მინისტრის მოადგილე
3	ვაზ. 31029	მინისტრის მოადგილე
4	ვაზ. 2121	სამინისტროს ცენტრალური აპარატი
5	ვაზ. 2121	სამინისტროს ცენტრალური აპარატი
6	ვაზ. 2410	ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი
7	ვაზ. 31029	გარემოს მონიტორინგის ცენტრი
8	უაზ. 469	გურიის რეგ/სამმართველო
9	უაზ. 469	სამცხე-ჯავახეთის რეგ/სამმართველო
10	ვაზ. 3102	კახეთის რეგ/სამმართველო
11	ვაზ. 2121	ქვემო ქართლის რეგ/სამმართველო
12	ვაზ. 2106	შიდა ქართლის რეგ/სამმართველო
13	ოუ 2715	შიდა ქართლის რეგ/სამმართველო
14	ვაზ. 2121	შიდა ქართლის რეგ/სამმართველო
15	ვაზ. 24	იმერეთის რეგ/სამმართველო
16	უაზ. 469	იმერეთის რეგ/სამმართველო
17	ოუ 2715	იმერეთის რეგ/სამმართველო
18	ოუ 2715	იმერეთის რეგ/სამმართველო
19	ვაზ. 2121	ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტი
20	ვაზ. 2121	ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტი
21	ვაზ. 2121	ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტი
22	ვაზ. 2121	წილის დაცვისა და საბოთ საქმის დეპარტამენტის თავჯდომარე
23	ვაზ. 2121	დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილე
24	ვაზ. 2121	დეპარტამენტის თავჯდომარის მოადგილე
25	ვაზ. 2121	სამმართველოს უფროსი
26	ვაზ. 2121	სამმართველოს უფროსი
27	ვაზ. 2121	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
28	ვაზ. 2121	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
29	ვაზ. 2121	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო		
1	ვაზ. 31029	მინისტრი
2	ვაზ. 31029	მინისტრის I მოადგილე
3	ვაზ. 31029	მინისტრის მოადგილე
4	ვაზ. 31029	მინისტრის მოადგილე
5	ვაზ. 31029	მინისტრის მოადგილე

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო		
1	„შკოდა ოქტავია“	მინისტრი
2	„შკოდა ოქტავია“	მინისტრის I მოადგილე
3	გაზ. 31029	მინისტრის მოადგილე
4	გაზ. 31029	მინისტრის მოადგილე
5	ვაზ. 21063	სამინისტროს საჭიროებისათვის
საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული სამინისტრო		
1	გაზ. 31029	მინისტრი
2	გაზ. 31029	მინისტრის I მოადგილე
3	გაზ. 31	ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა
საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო		
1	გაზ. 31029	მინისტრი
საქართველოს მრეწველობის სამინისტრო		
1	„კია კლარუსი“	მინისტრი
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი		
1	„პიუნდაი“	დეპარტამენტის თავმჯდომარე
2	„პიუნდაი-გალსპერი“	აპარატი
საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი		
1	გაზ. 3110	დეპარტამენტის თავმჯდომარე
2	გაზ. 2410	დეპარტამენტის თავმჯდომარის I მოადგილე
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი		
1	გაზ. 31029	დეპარტამენტი
2	გაზ. 31029	დეპარტამენტი
3	„მერსედეს 500“	დეპარტამენტი
4	ვაზ. 2121	დეპარტამენტი
საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი		
1	გაზ. 24	დეპარტამენტის თავმჯდომარე
საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი		
1	გაზ. 3110	დეპარტამენტის თავმჯდომარე
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი		
1	გაზ. 31029	დეპარტამენტის თავმჯდომარე
2	გაზ. 31029	დეპარტამენტის შტაბის უფროსი
3	გაზ. 31029	დეპარტამენტის თავმჯდომარის I მოადგილე
4	გაზ. 31029	დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
5	გაზ. 31029	დეპარტამენტის I სამმართველო
6	გაზ. 31029	დეპარტამენტის II სამმართველო
7	გაზ. 31029	კადრების სამმართველო
8	გაზ. 2413	სამედიცინო განყოფილება
9	უაზ. 31512	დეპარტამენტის თავმჯდომარე
10	უაზ. 31512	შტაბის I განყოფილება
11	უაზ. 31512	შტაბის ზურგის განყოფილება
12	უაზ. 31512	შტაბის საბრძოლო განყოფილება
13	ვაზ. 2107	დეპარტამენტის საფინანსო სამმართველო
14	ვაზ. 21043	დეპარტამენტის კომენდატი
15	ვაზ. 2107	დეპარტამენტის სამდივნოს უფროსი
16	ვაზ. 2106	დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველი

ცხრილი 1

დანახარჯები სახელმწიფო ავტომანქანებზე

ორგანიზაციის და სახელედა	ბალანსზე რიცხ. მსუბ. აქტივ. რაოდენობა	მანქანების შესაქენად გამოყოფილი თანხა (ათას ლარებში)		მანქანების შესანახად გამოყოფილი თანხა (ათას ლარებში)	
		1997 წ.	1998 წ.	1997 წ.	1998 წ.
1. პარლამენტი	100	750	235	1 646,741	800
2. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური	161*	?	?	?	600
3. ფინანსთა სამინისტრო	25	600	389,8	173,7	207,3
4. საგანგებო ინსპექცია	115	?	?	?	157
5. საბაჟო დეპარტამენტი	90	?	?	?	95,2
6. ეკონომიკის სამინისტრო	8	?	?	?	47
7. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური	1	?	?	?	2,6
8. ფასების სახელმწიფო ინსპექცია	1	?	?	?	3,9
9. მრეწველობის სამინისტრო	1				6
10. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო	6			3,624	5,6
11. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო	16			20,966	17,7
12. მედიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტ.	22***		100	148,2	105,6
13. სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო	5			4,16	6
14. იუსტიციის სამინისტრო	8	8,748	28	2,085	7
15. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	29	10	20	51,3	53,9
16. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო	5			14,773	17
17. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო	3***			1,75	10
18. გარემოსა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო	1			2,5	7
19. საგარეო საქმეთა სამინისტრო***				176,1	213
20. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი	3	14,9		2,7	9
21. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი	4		150	5,8	17
22. დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტ.	1	1,934			2,2
23. კულტურული მემკვიდრეობისა და ფოსტის სამინისტრო	5	?	?	?	12,5
24. კაშხობაშენობისა და ფოსტის სამინისტრო	8	?	?	?	6,3
25. ტრანსპორტის სამინისტრო	6	?	?	?	8,3
26. საზღვაო ადმინისტრაცია	2	?	?	?	4,9
27. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი	1			3,053	50***
28. სახელმწიფო სახდრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი	16			189,9***	828,2***

შენიშვნა:

* მათ შორის სახელმწიფო კანცელარიის მომსახურე - 60 ავტოსატრანსპორტო საშუალება

** დეპარტამენტის და მისი დაქვემდებარების ორგანიზაციების ბალანსზე ირიცხება 22 მსუბუქი ავტომანქანა. აღნიშნული რაოდენობიდან დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 2 მსუბუქი ავტომანქანა

*** აღნიშნული ავტომანქანები 1996 წელს შეძენილია ყოფილი სათბობ-ენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციისათვის მისი დაქვემდებარებული საწარმოს - ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ და არა ბიუჯეტის სახსრებით

**** საგარეო საქმეთა სამინისტროს მომსახურებას უწევს სახაზინო საწარმო 'ავტორანსი'. 1997 წ. ავტომომსახურებაზე დას. რაოდენობა 176,1 ათასი ლარიდან 118,5 ათასი ლარი გამოყოფილ იქნა სპეც. სახსრებიდან

***** სულ ავტომანქანების შესაქენად და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შეჩახვისათვის

? ინფორმაცია არ გვაქვს